პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი შაბათი 5 დეკემბერი № 280 (18222) ფასი 2 კაპ.

## საქართველო — „იზვესტიის“ ფურცლებზე

საბჭოეთის ხალხთა ოჯახში საქართველოს მეექვსე ადგილი უკავია მოსახლეობის რაოდენობით და მეათე — ტერიტორიით. მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რა მდიდარია ეს მზიური მიწა სასარგებლო წიაღისეულით — მანგანუმით, ქვანახშირით, უკანასკნელ წლებში კი ნავთით. უხვი და მდიდარია იგი ვენახით, ჩაით, სამკურნალო წყაროებით. მდიდარია იგი თავისი ხალხის სტუმართმოყვარეობითაც.

(თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპის, სოციალისტური შრომის გმირის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გ. კურტანიძის ამ სიტყვებით იხსნება „იზვესტიის“ 4 დეკემბრის ნომრის მესამე — სპეციალური გვერდი „საქართველოს სს რესპუბლიკის დღე“.

რესპუბლიკის, მისი მშრომელი ხალხის მჩქეფარე ცხოვრების მძლავრ მაჯისცემას ასახავს გვერდში მოთავსებული მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი მასალები.

„საქართველოში საქმე კარგად მიდის, და მეტად სასიხარულოა, რომ საქართველოს კომპარტია ირაზმება ახალი წარმატებების მისაღწევად მეთერთმეტე ხუთწლედში“, —ბრძანა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

სწორედ ეს არის შესანიშნავად ასახული გვერდში მოთავსებულ რესპუბლიკის გამორჩენილ ადამიანებთან საუბრებში, ინტერვიუში, ციფრებსა და ფაქტებში, ცოცხალ ინფორმაციებში, შინაარსიან ფოტოილუსტრაციაში.

მოძმე ხალხთა წარმოდგენაში, მკითხველთა ფართო მასების წარმოდგენაში „იზვესტიის“ ეს სპეციალური გვერდი ახალი ძალით აცოცხლებს საქართველოს — შემოქმედს, მებრძოლს, მშრომელს, მშენებელ რესპუბლიკას.

გვერდის მასალები მოუმზადებიათ „იზვესტიის“ კორესპონდენტებს ტ. ჭანტურიას, ვ. შმიგანოვსკის, ფოტო ეკუთვნით ი. ინთაკინს, ს. კილაძეს, ა. სააკოვსა და საქდესს.

საქართველოსადმი მიძღვნილი „იზვესტიის“ ეს სპეციალური გვერდი გულთბილად და ინტერესით მიიღო მკითხველთა ფართო მასებმა.

ИЗВЕСТИЯ

# დედაქალაქის დამცველთა გმირობა უკვდავია

## მოსკოვთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების მე-40 წლისთავისადმი

### მიძღვნილი საზეიმო სხდომა კრემლის ყრილობათა სასახლეში



...ივლის საუკუნეები, მაგრამ ...თა ხალხის მადლიერ ხსოვ... არასოდეს არ წაიშლება დე...ლაქის დამცველთა გმირობა ...ვაჟკაცობა დიდი სამამულო ...მრისხანე წლებში. საბჭოთა ...ის გამარჯვებამ მოსკოვის ...დგომებთან დასაბამი მისცა ...ულ შემობრუნებას მთელ მე... მსოფლიო ომში, საბჭოთა ...ანებს შთააგონა ახალი საგ... საქმენი შრომასა და ბრძო..., განამტკიცა მათი რწმენა, ...მტერი გარდაუვალად დამარ...ბოდა.

...დეკემბერს კრემლის ყრი...ათა სასახლეში გაიმართა მო...ის სახალხო დეპუტატთა სა...ქო და საოლქო საბჭოების, მოსკოვის საქალაქო კომი...სა და მოსკოვის საოლქო ...ტეტის საზეიმო სხდომა მოს...სა და მოსკოვის ოლქის ...მელთა და მოსკოვის გარნი...ს მეომართა წარმომადგენ...თან ერთად, რომელიც მოს...ან გერმანელ-ფაშისტთა ჯა...ს განადგურების 40 წლის... მიეძღვნა.

...რბაზში არიან დიდი სამამუ... ომისა და შრომის ვეტერანე... შრომელთა, საბჭოთა არმიისა ...სამხედრო-საზღვაო ფლოტის ...მადგენლები.

...კრებილნი მქუხარე, ხანგრძ... ტაშით, ფეხზე ამდგარი ...დნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟ..., ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. ...ინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. ...ლენკოს, ა. ი. პელშეს, მ. ა. ...ოვს, ნ. ა. ტიხონოვს, დ. თ. ...ნოვს, კ. უ. ჩერნენკოს, ... დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ... პონომარიოვს, მ. ს. სო...ენცევს, ი. ვ. კაპიტო..., ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზი...ნს, კ. ვ. რუსაკოვს.

...ეზიდიუმში მათთან ერთად ... სკკპ მოსკოვის საოლქო ...ტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ...ტონპი, სკკპ მოსკოვის საქა... კომიტეტისა და მოსკოვის ...ქო კომიტეტის ბიუროების ...ები, თვალსაჩინო მხედართ...ოები, მოსკოვთან ბრძოლის ...ები, სოციალისტური შეჯიბ... მოწინავენი, მეცნიერებისა ...ლტურის მოღვაწენი, საზო...ებრივ ორგანიზაციათა წარ...დგენლები.

...ეიმო სხდომა გახსნა მოსკო... საბჭოს აღმასკომის თავმჯდო...მ ვ. თ. პრომისლოვმა.

...დომაზე სიტყვა წარმოთქვა ... ცენტრალური კომიტეტის ...ტბიუროს წევრმა, პარტიის ...ოვის საქალაქო კომიტეტის ...ელმა მდივანმა ვ. ვ. გრიში..., რომელსაც შეკრებილნი გუ...ილად შეხვდნენ.

...ხი ათწლეული გავიდა იმ ...სახსოვარი დღეებიდან, თქვა ... როცა ჩვენი სამშობლოს ...ქალაქის მისადგომებთან და... დიდი სამამულო ომის ერთ... ყველაზე დაძაბული და გი...ერი ბრძოლა. ეს იყო არა...ლებრივად ძნელი დღეები. ...ეროულმა გერმანიამ მოსკოვს ...ტია უდიდესი ძალებით. ...ს დიდი საშიშროება შექ... მოსკოვის დიადი ბრძოლა, ...ლიც გერმანელ ფაშისტთა ...ბის განადგურებით დამთავრ... სამუდამოდ შევიდა ისტორი... როგორც საბჭოთა ხალხის, ... სახელოვანი შეიარაღებული ...ბის უთვალსაჩინოესი გმი...ა.

გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურებამ მოსკოვთან უდიდესი პოლიტიკური აღმავლობა და ენთუზიაზმი გამოიწვია მთელ ჩვენს ქვეყანაში. და საბჭოთა ხალხმა, მისმა მამაცმა არმიამ პარტიის ხელმძღვანელობით, რომლებმაც განვლეს ომის ოთხი წლის უმძიმესი განსაცდელი, ისტორიაში უდიდესი გმირობა ჩაიდინეს — პირნათლად ატარეს გამარჯვების დროშა მოსკოვიდან ბერლინამდე, ვოლგიდან ელბამდე, დაიცვეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ევროპის ხალხები იხსნეს ფაშისტური დამონებისაგან.

ომის პირველი დღეებიდანვე, ხაზი გაუსვა ორატორმა, საბჭოთა ადამიანებმა, ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ რომ იბრძოდნენ, იცოდნენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩვენი საქმე მართალია, რომ ჩვენ გავიმარჯვებდით, რადგან ვეწეოდით წმიდათაწმიდა, სამართლიან, განმათავისუფლებელ ომს.

ომში საბჭოთა ხალხის ბელადი, სამშობლოს დაცვის, ჰიტლერული ჯარების განადგურების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო კომუნისტური პარტია. პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ი. ბ. სტალინის მეთაურობით, რომელიც ომის დაწყების შემდეგ მალე შეიქმნა, შეიმუშავეს მტრის უკუსაგდებად ქვეყნის მობილიზაციის ყოვლისმომცველი პროგრამა. მათ ომის პირველ დღეებში გადაწყვიტეს უძნელესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ამოცანები, ქვეყანა იქცა ერთიან და შეკავშირებულ სამხედრო ბანაკად.

შეუპოვარი ბრძოლები წარმოებდა მთელ უზარმაზარ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. მაგრამ მთავარი მოვლენები ვითარდებოდა ცენტრალური მიმართულებით. მტერი მოსკოვისაკენ მოიწევდა. დედაქალაქის ხელში ჩაგდებას ჰიტლერული ხროვა უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი მის დაპყრობას უკავშირებდა ზამთრის დადგომამდე სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის „ელვისებურ“ დამთავრებას.

მაგრამ საბჭოთა ჯარების შეუპოვარი თავდაცვითი ბრძოლების შედეგად ფაშისტური არმიების ცდა, გაჭრილიყვნენ მოსკოვისაკენ 1941 წლის საზაფხულო შეტევის დროს, ჩაიშალა. ორატორმა აღნიშნა, თუ რა უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ზრახვების ჩაფუშვაში გაქანებითა და დაძაბულობით უდიდეს ბრძოლას სმოლენსკის რაიონში.

სექტემბრის დამლევსა და ოქტომბრის დამდეგს ფაშისტურმა სარდლობამ ჯარები გადმოიყვანა დედაქალაქის წინააღმდეგ გენერალურ შეტევაზე. დაიწყო დიადი ბრძოლა მოსკოვთან. ბრძოლები წარმოებდა ათას კილომეტრამდე სიგანის ზოლში. ამ კრიზისულ მომენტში, როცა დიდი საფრთხე შექმნა დედაქალაქს, პარტიამ მოგვიწოდა: „ყველანი მშობლიური მოსკოვის დასაცავად!“. 1941 წლის შემოდგომაზე მოსკოვი ფრონტისპირა ქალაქი გახდა.

ქვეყნის პოლიტიკურმა შტაბმა — პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა, რომელიც მოსკოვთან მთელი ბრძოლის განმავლობაში დედაქალაქში რჩებოდა, — ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ იგი გადაექცია უტეხ ციხესიმაგრედ, დაერაზმა და აემოქმედებინა ახალი ძალები.

მოსკოვის დაცვა საყოველთაოსახალხო საქმე გახდა. დედაქალაქის დაცვის ამოცანებს მთელი საქმიანობა დაუქვემდებარა მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ. ივლისის დამდეგს ქალაქში შეიქმნა 120 ათასი კაცისაგან შემდგარი სახალხო მოლაშქრეთა 12 დივიზია. მათგან თითქმის ნახევარი კომუნისტები და კომკავშირელები იყვნენ. 42 ათასი კაცი შევიდა მოსკოვის საჰაერო დაცვის ჯარებსა და გამანადგურებელ ბატალიონებში. ოქტომბერში შეიქმნა სახალხო მოლაშქრეთა კიდევ სამი დივიზია და კომუნისტური დივიზია, აგრეთვე 25 ბატალიონი მოსკოვის საჰაერო დაცვის შემადგენლობიდან.

პარტიამ ყველაფერი იღონა, რათა განემტკიცებინა მოსკოვის დამცველთა ძალები, გაეხადა ისინი უძლეველი. აღმოსავლეთი რაიონებიდან მოდიოდა ჯარები, იარაღით, ტყვია-წამლით დატვირთული ეშელონები. პარტიის, ჩვენი ხალხის იმედები მთლიანად გაამართლეს საბჭოთა არმიის მეომრებმა. მოსკოვის ბრძოლაში მათ უჭკნობი დიდების შარავანდედით შემოსეს თავიანთი საბრძოლო დროშები.

ამის შედეგად ფაშისტთა ოქტომბრის შეტევა მოსკოვზე შეჩერდა. მაგრამ მტერი ცდილობდა რადაც უნდა დასჯდომოდა დაეპყრო სსრ კავშირის დედაქალაქი.

იმ დღეებში მთელი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს მზერა მიპყრობილი იყო მოსკოვისადმი. ვ. ვ. გრიშინმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1941 წლის 6 ნოემბერს დედაქალაქში გამართულ საზეიმო სხდომას, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24-ე წლისთავს, საბჭოთა ჯარების პარადს 7 ნოემბერს წითელ მოედანზე.

საბჭოთა ჯარები, რომლებიც გრძნობდნენ ზურგის მტკიცე მხარდაჭერას, შეუპოვრად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. დედაქალაქის ყველა დამცველის აზრი და გრძნობები გამოთქვა პოლიტხელმა კლოჩკოვმა, რომელმაც თქვა: „დიდია რუსეთი, დასახევი გზა კი არ არის — უკან მოსკოვია“.

საიმედოდ დაიცვეს მოსკოვი ფაშისტური ავიაციის თავდასხმებისაგან საბჭოთა მფრინავებმა, საჰაერო თავდაცვის ჯარებმა. ქალაქი ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა ჰიტლერელებისათვის არა მარტო ხმელეთიდან, არამედ ჰაერიდანაც.

ფაშისტური ჯარების ზურგში თავდადებით იბრძოდნენ პარტიზანები და იატაკქვეშელები. მოსკოვის ოლქში აქტიურად მოქმედებდა 41 პარტიზანული რაზმი, 377 დივერსიული ჯგუფი.

ნოემბრის შუა რიცხვებში ახალი ეტაპი დაიწყო მოსკოვის ბრძოლაში. ჰიტლერულმა სარდლობამ თავისი ჯარების გადაჯგუფების შემდეგ განაახლა შეტევა. მაგრამ ისიც ჩაიშალა. დეკემბრის დამდეგს ბრძოლაში გარდატეხა დაიწყო, ფაშისტთა საუკეთესო დივიზიები დაუძლურდნენ, მათი რეზერვები დაიშრიტა. საბჭოთა ჯარები, რომლებმაც დაასუსტეს ჰიტლერული არმია გააფთრებულ თავდაცვით ბრძოლებში, მიიღეს ახალი ძალები და განამტკიცეს თავისი საბრძოლო ნაწილები, 1941 წლის 5-6 დეკემბერს კონტრშეტევაზე გადავიდნენ, რომლის დროსაც მთლიანად შემუსრეს ჰიტლერელთა დაჯგუფებანი მოსკოვის ბრძოლების ფლანგებზე, გაათავისუფლეს 11 ათასზე მეტი ქალაქი და სოფელი.

მოსკოვთან კონტრშეტევა დასაწყისი გახდა საბჭოთა არმიის საერთო შეტევისა, რომელიც 1942 წლის აპრილამდე გრძელდებოდა.

საბჭოთა ჯარების უდიდესი წარმატება მოსკოვთან ბრძოლაში არ ყოფილა არც სასწაული, არც შემთხვევითობა. მას მიაღწია ჩვენმა არმიამ, მთელმა ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, და განაპირობა სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების ძირეულმა უპირატესობამ, დიდი სამამულო ომის მორალურ-პოლიტიკური, ნამდვილად სახალხო, სამართლიანი ხასიათის უპირატესობამ.

მოსკოვს მთელი ქვეყანა იცავდა. ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში კიდევ უფრო განმტკიცდა ხალხთა მეგობრობა, მათი შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო. მოსკოველთა გულში მუდამ იცოცხლებს მადლიერება სოციალისტური სამშობლოს ყველა ეროვნების წარმომადგენლებისადმი, რომლებმაც ერთიან მწყობრში დაიცვეს ჩვენი საერთო მშობლიური დედაქალაქი.

დედაქალაქისათვის სასიკვდილო საფრთხის პერიოდში ათასობით მოსკოველმა გამოიჩინა მაღალი შეგნება, ორგანიზებულობა და დაუღალავად შრომობდა მტრის შესამუსრავად. ქალაქი გახდა არმიის საბრძოლო სამჭედლო და არსენალი. მთელ რიგ ქარხნებში ხელახლა დაიწყო სამხედრო პროდუქციის — ტანკების, თვითმფრინავების, ავტომობილების, ნაღმსატყორცნების, ტყვია-წამლის წარმოება.

მოსკოველებთან მხარდამხარ იცავდნენ დედაქალაქს მოსკოვისა და მისი მეზობელი ოლქების მშრომელები, მოსკოვის ოლქის ქალაქების პარტიული და საბჭოთა ორგანოები, იქ შექმნილი თავდაცვის ადგილობრივი კომიტეტები რაზმავდნენ მშრომელებს დამპყრობთა წინააღმდეგ შეტევისათვის, დიდ და მრავალფეროვან დახმარებას უწევდნენ მოსკოვის დამცველებს.

დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის ექვსასი ათასამდე მშრომელი შრომობდა დღითა და ღამით, წვიმასა და თოვლში, ხშირად სროლისა და დაბომბვის პირობებში, რათა ქალაქისათვის გარს შემოერტყა თავდაცვითი ნაგებობანი.

სსრ კავშირის დედაქალაქის, მისი დამცველების მხედრული და შრომითი გმირობა დიდად დააფასა სამშობლომ. მოსკოვთან ბრძოლაში გმირობისა და მამაცობისათვის 36 ათასი საბჭოთა მეომარი დაჯილდოვდა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. 110 მეომარსა და პარტიზანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო სულ ომის წლებში ეს წოდება მიიღო რვაასზე მეტმა მოსკოველმა. მილიონზე მეტი კაცი დაჯილდოვდა მედლით „მოსკოვის დაცვისათვის“.

1965 წლის მაისში, ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების მე-20 წლისთავის დღეებში, მოსკოვს მიენიჭა „გმირი ქალაქის“ საპატიო წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის“ მედალი. მაღალი ჯილდოებით აღინიშნა მოსკოვის ბრძოლაში გმირი ქალაქის ტულის, კალინინის, სმოლენსკის, ნარო-ფომინსკის, მალოიაროსლავეცის, კალუგის, დედაქალაქისა და მისი მეზობელი ოლქების სხვა ქალაქების დამსახურება.

დაახასიათა რა ომისშემდგომ წლებში ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის ცხოვრებაში მომხდარი დიდი ცვლილებანი, ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ სკკპ XXIV ყრილობის მითითების შესაბამისად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად მოსკოვის გადაქცევის გზაზე. წარმატებით ვითარდება ეკონომიკა, მეცნიერება და კულტურა. პარტიისა და მთავრობის მუდმივი დახმარების, მოსკოველთა შემოქმედებითი შრომის წყალობით დედაქალაქი გაიზარდა, გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი ქალაქი. იზრდება და ვითარდება მოსკოვის ოლქის ქალაქები და სოფლები. ოლქის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. განუხრელად უმჯობესდება მოსკოველთა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, მაღლდება მათი კულტურული დონე.

ახლა ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის ახალ ეტაპზეა, თქვა შემდეგ ვ. ვ. გრიშინმა. ამ გზაზე ისტორიული ნიშანსვეტია სკკპ XXVI ყრილობა, რომელმაც ღრმად და მეცნიერულად გააანალიზა თანამედროვეობის კარდინალური პრობლემები, დიდი ამოცანები დასახა მეთერთმეტე ხუთწლედისა და 80-იანი წლებისათვის. პარტიის გეგმების ცენტრშია ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, იმისათვის, რომ მშვიდობიანი პირობები შექმნას კომუნისტური მშენებლობისათვის.

ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებში, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დიდმნიშვნელოვანსა და შინაარსიან სიტყვაში, დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის მშრომელებისაგან თავდადებულ მუშაობას მოითხოვს. მოსკოვთან ჩვენი გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად, თქვა ორატორმა, დედაქალაქისა და ოლქის მშრომელები 5 დეკემბერს მასობრივ კომუნისტურ შაბათობას აწყობენ.

შეეხო რა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას, ვ. ვ. გრიშინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი, მოძმე სოციალისტური ქვეყნები იმპერიალისტთა მიერ გაჩაღებულ სამხედრო ისტერიასა და გაფაციცებულ გამალებულ შეიარაღებას უპირისპირებენ პრინციპულ, თანამიმდევრულ ბრძოლას ომის საფრთხის აღკვეთისათვის. მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის, განიარაღებისათვის ბრძოლა ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობის ცენტრშია. ამ ბრძოლაში უდიდესი როლი ეკუთვნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. მისი აქტიური საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა, მრავალი საერთაშორისო ინიციატივა დიდმნიშვნელოვან წვლილს მატებენ მშვიდობის განმტკიცებას.

80-იანი წლების მშვიდობის პროგრამის პრაქტიკულ განხორციელებაში სსრ კავშირის თვალსაჩინო პოლიტიკური აქცია გახდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოლაპარაკება და საუბრები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მისი გამოსვლები და შეხვედრები. ლეონიდ ილიას ძის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მშვიდობის მისიაა ამ სიტყვის ყველაზე სრული და მაღალი გაგებით. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ორმხრივი ურთიერთობისათვის, ისე აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა მთელი კომპლექსისათვის. მოლაპარაკებაზე წამოყენებული ახალი, სამშვიდობო წინადადებანი ემსახურება კეთილშობილურ მიზანს — მივაღწიოთ ურთიერთმისაღებ მორიგებას დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რათა ვიხსნათ ევროპა ბირთვული ხანძრისაგან, მორიგებას, რომელიც მხარეთა თანასწორობასა და ერთნაირ უშიშროებაზე იქნება დაფუძნებული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად ატარებს მშვიდობის პოლიტიკას და ამასთანავე დიდ სიფხიზლესაც იჩენს. პარტია არასოდეს არ დათმობს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მოკავშირეებისა და მეგობრების უშიშროების ინტერესებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იმით ხელმძღვანელობს, რომ მხოლოდ ქვეყნის ძლიერ თავდაცვას, მხოლოდ სსრ კავშირის მძლავრ შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ დაიცვან საბჭოთა სამშობლოს, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროება და საარსებო ინტერესები.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, მათთან ერთად კი ყველა მოსკოველი, მთლიანად იწონებენ და მხურვალედ უჭერენ მხარს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მის მშვიდობისმოყვარულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივ მოღვაწეობას.

საბჭოთა ადამიანები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს რაცხავენ თანამედროვეობის უთვალსაჩინოეს პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწედ, ლენინის დიადი საქმის განმგრძობად, კომუნიზმისათვის, ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, მშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის მგზნებარე მებრძოლად. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების სამოცდათხუთმეტ წლისთავს აღვნიშნავთ. საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა, აღნიშნავენ ამ ღირსსახსოვარ იუბილეს, უსურვებენ ლეონიდ ილიას ძეს ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, ახალ დიდ წარმატებებს მთელ მის საქმიანობაში პარტიისა და ქვეყნის გასაძლოლად, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დასაცავად.

ვრაზმავთ რა მასებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად, ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა შევაკავშიროთ ისინი პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო, თქვა დასასრულ ვ. ვ. გრიშინმა. ეს იმის საწინდარია, რომ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის, ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი მომავლისათვის, კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლა სრული წარმატებით დაგვირგვინდება.

სხდომაზე გამოვიდნენ არმიის გენერალი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი **ა. პ. ბელობოროდოვი**, მოსკოვის ოლქის უვაროვის პარტიზანული რაზმის მებრძოლი ჯგუფის ყოფილი მეთაური **ი. ე. ციგანკოვი**, მოსკოვის სერგო ორჯონიკიძის სახელობის „ჩარხსაშენებელი ქარხნის“ საწარმოო გაერთიანების მუშა **ა. მ. ხრომოვა**.

საბჭოთა ჯარების შეტევა მოსკოვის მისადგომებთან, აღინიშნა გამოსვლებში, დიდი და სასიხარულო მოვლენა გახდა არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანისათვისაც. ჩაიშალა ბლიცკრიგის სტრატეგია, წყალი შეუდგა ჰიტლერული გენერალიტეტის პრესტიჟს, დაიწყო ძირეული შემობრუნება ომში.

დღეს მოსკოვისა და დედაქალაქის ოლქის მშრომელთა მეცადინეობა, ხაზი გაუსვეს ორატორებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანის გარჯა, ემსახურება პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებების წარმატებით შესრულებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ დასახული ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივები, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანები ფრთას ასხამენ მოსკოველებს დამკვრელური დიდნაყოფიერი შრომისათვის.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს მიესალმნენ მოსკოვის გარნიზონის მეომრები, დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

სხდომის მონაწილეებმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი, რომელშიც აღუთქვეს, რომ გმირი ქალაქის მოსკოვისა და დედაქალაქის ოლქის მშრომელები, რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებული კომუნისტური პარტიის გარშემო, თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან და კვლავაც ამრავლებენ პარტიისა და ხალხის სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებს, მთელ ძალ-ღონეს და ენერგიას მოახმარენ პარტიის დიადი გეგმების განხორციელებას საყვარელი სამშობლოს საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

(საკდესი).

## ...არშავის ხელშეკრულების მონაწილე ...ხელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების ...მიტეტის სხდომის შედეგების შესახებ

...4 დეკემბერს საბჭოთა სოც...ისტური რესპუბლიკების კავ...ის დედაქალაქ მოსკოვში გაი...თა ვარშავის ხელშეკრულების ...წილე სახელმწიფოთა თავ...ცვის მინისტრების კომიტეტის ...იგი სხდომა.

...დომის მუშაობაში მონაწილ...დნენ ვარშავის ხელშეკრუ...ის მონაწილე სახელმწიფოე... თავდაცვის მინისტრები, გაე...ანებული შეიარაღებული ...ების მთავარსარდალი და გაე...ანებული შეიარაღებული ძა...ის შტაბის უფროსი. სხდო... თავმჯდომარეობდა სსრ კავ...ის თავდაცვის მინისტრი სა...თა კავშირის მარშალი დ. თ. ...ინოვი.

თავდაცვის მინისტრების კომიტეტმა განიხილა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მიმდინარე საქმიანობის საკითხები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სხდომამ საქმიან ვითარებაში, მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა.

თავდაცვის მინისტრების კომიტეტის სხდომაში მონაწილე მოკავშირე არმიების დელეგაციები იყვნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში, მუზეუმში „კრემლში ვ. ი. ლენინის კაბინეტი და ბინა“, გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი.

გვირგვინით შეამკეს აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის გალავანთან.

## ...მიფრინავს „კოსმოს—1328“ და „კოსმოს—1329“

...981 წლის 3 დეკემბერს საბ...ა კავშირში გაუშვეს დედამი... მორიგი ხელოვნური თანამგ... „კოსმოს-1328“.

...981 წლის 4 დეკემბერს საბ...ა კავშირში გაუშვეს დედამი... მორიგი ხელოვნური თანა...ური „კოსმოს-1329“.

თანამგზავრების ბორტზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც გათვალისწინებულია კოსმოსური სივრცის კვლევისათვის. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

## ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის წევრები



4 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის წევრები. სურათზე: საუბრის დაწყების წინ.

ვ. მუსაელიანისა და ე. პესოვის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

4 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის წევრები.

ლ. ი. ბრეჟნევსა და თავდაცვის მინისტრებს შორის გულთბილი საუბარი გაიმართა. ლ. ი. ბრეჟნევმა კმაყოფილება გამოთქვა კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის გამო და მინისტრებს უსურვა ახალი წარმატებანი ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

საუბარს დაესწრნენ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ვ. ოგარკოვი, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი და გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი არმიის გენერალი ა. ი. გრიბკოვი. (საკდესი).

## მოსკოვთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების 40 წლის თავის გამო

# ჩვენი გამარჯვების გარიჟრაჟი

**დრომ** ვერ წაშალა საბჭოთა ხალხის მეხსიერებიდან ცხრაას ორმოცდაერთის ტრაგიზმითა და გმირობით აღსავსე ამბები.

გერმანელ ფაშისტთა ჯარების სარდლობას განსაზღვრული ჰქონდა დასავლეთიდან, ჩრდილო-დასავლეთიდან და სამხრეთიდან მძლავრი სატანკო ჯგუფების შემოტევით ალყაში მოექცია ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი. მუსრი გაევლო მისი დამცველი ჯარებისათვის, ზამთრის დადგომამდე აეღო ქალაქი და ძლევამოსილად დაემთავრებინა „ბლიცკრიგი" — „ელვისებური ომი" სსრ კავშირის წინააღმდეგ.

ამ „გადამწყვეტი დარტყმის" განსახორციელებლად გერმანელ ფაშისტთა სარდლობამ თავი მოუყარა უზარმაზარ ძალებს, რომლებშიც 74 დივიზია, მათ შორის 22 სატანკო და მოტორიზებული დივიზია იყო (საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოქმედი მთელი ჯარების ორ მეხუთედზე მეტი, ტანკების — სამი მეოთხედი, ქვემეხების — თითქმის ნახევარი და თვითმფრინავების — დაახლოებით მესამედი).

მტრის უზარმაზარ დაჯგუფებას გზას ულობავდნენ ჩვენი დასავლეთის, სარეზერვო და ბრიანსკის ფრონტების ჯარები. ისინი ჟანცგაწყვეტილნი იყვნენ ხანგრძლივ ბრძოლებში, დიდძალი ხალხი აკლდათ და 1,5 — 2-ჯერ ნაკლები საომარი ტექნიკა ჰქონდათ.

ამ კრიზისულ ჟამს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით მოსკოვში და მის გარშემო საალყო წესები გამოცხადდა. სასწრაფო ღონისძიებანი ხორციელდებოდა დედაქალაქის დასაცავად ახალი ძალების მობილიზაციისა და გაშლისათვის. მთელი თავდაცვის ჯარები დასავლეთის ფრონტში გაერთიანდნენ არმიის გენერლის გ. კ. ჟუკოვის სარდლობით.

პარტიის მოწოდებით მოსკოვის დასაცავად აღდგა მთელი ჩვენი ქვეყანა. დასავლეთის ფრონტზე უწყვეტ ნაკადად მოდიოდნენ ეშელონები, რომლებსაც მოჰყავდათ ახალი ფორმირებანი, მოჰქონდათ იარაღი, ტყვია-წამალი და სურსათი.

იმ ტრაგიკულ დღეებში სასწრაფოდ შეიკრიბა დედაქალაქის პარტაქტივი. 17 ოქტომბერს რადიოთი ფიცივით გაისმა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის მდივნის ა. ს. შჩერბაკოვის სიტყვები: „... მოსკოვისათვის შეუპოვრად, თავდადებით, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ. ჰიტლერელთა გეგმები რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა ჩავშალოთ".

პარტიის მოწოდების პასუხად 450 ათასი მოსკოველი, მათ შორის ორი მესამედი ქალები, გამოვიდა თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობაზე. რამდენიმე დღეში ჩამოყალიბდა სახალხო მოლაშქრეთა 25 ცალკეული კომუნისტური ასეული და ბატალიონი, 12 დივიზია. მოსკოვის ოლქის ტერიტორიაზე ფართოვდებოდა პარტიზანული მოძრაობა.

მთელი ოქტომბრის მანძილზე მოსკოვის მიდამოებში განუწყვეტელი ბრძოლები მიმდინარეობდა, საბჭოთა ჯარები მამაცურად იცავდნენ ყოველ გოჯ მშობლიურ მიწას. ნოემბრის დამდეგისათვის გერმანელებს ძალა გამოელიათ, ჰიტლერელები თითქმის ყველა მიმართულებით შეაჩერეს.

მიუხედავად ამისა ვითარება კვლავ უაღრესად რთული რჩებოდა. მტერი ზედ დედაქალაქის გალავანთან იდგა და ახალი შეტევისათვის ემზადებოდა, ჩქარობდა ძალების გადაჯგუფებას, სასწრაფოდ გადმოჰყავდა ჯარები ზურგიდან.

ახლა მოსკოვს უტევდა 51 დივიზია, მათ შორის 20 სატანკო და მოტორიზებული. ვერმახტის ასიათასობით ჯარისკაცი, ისინი რომლებმაც მარშით ჩაიარეს პარიზისა და ბრიუსელის, ჰააგის, კოპენჰაგენისა და ევროპის სხვა დედაქალაქების ქუჩები, ელოდნენ ბრძანებას მოსკოვის გადამწყვეტი შტურმის შესახებ.

უმაღლესმა მთავარსარდლობამ, რომელმაც იცოდა, რომ ჰიტლერელთა ახალი იერიში მზადდებოდა, რამდენიმე გადაუდებელი ღონისძიება განახორციელა დასავლეთის ფრონტის გასაძლიერებლად და თავდაცვითი პოზიციების გასამაგრებლად. ამავე დროს დედაქალაქის მახლობლად სტრატეგიული რეზერვის სახით ყალიბდებოდა ახალი არმიები.

ასეთ უაღრესად ძნელ და რთულ პირობებში ხვდებოდნენ საბჭოთა ადამიანები დიდი ოქტომბრის 24-ე წლისთავს. მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს 6 ნოემბრის საზეიმო სხდომამ, წითელ მოედანზე ჯარების პარადმა 7 ნოემბერს და აქ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის გამოსვლებმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხალხისა და არმიის რწმენაში, რომ მოსკოვთან მტერს შეაჩერებდნენ, რომ სწორედ აქ, დედაქალაქის გალავანთან დაიწყებოდა ჰიტლერელ დამპყრობთა განადგურება.

15-18 ნოემბერს, ორკვირიანი პაუზის შემდეგ, ფაშისტებმა იერიში განაახლეს. ისინი გვიტევდნენ ვოლოკოლამსკისა და ტულის რაიონებიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან უვლიდნენ დედაქალაქს.

იმ მრისხანე დღეებში მხარდამხარ იბრძოდნენ ყველა ჩვენი რესპუბლიკის შვილები. შეუპოვრობისა და უტეხობის მაგალითს გვიჩვენებდნენ მამაცი პანფილოვის დივიზიის მეომრები, გენერალ ლ. მ. დოვატორის ცხენოსანი ჯგუფები, პოლკოვნიკ მ. ე. კატუკოვის ტანკისტები, გენერალ კ. კ. როკოსოვსკის მე-16 არმიის სხვა შენაერთებისა და ნაწილების მეომრები, რომლებმაც შეაჩერეს გერმანელთა ზვავად მოვარდნილი შემოტევა ვოლოკოლამსკის მიმართულებით.

ნოემბრის დამლევსა და დეკემბრის დამდეგს დასავლეთის ფრონტის ნაწილებმა რამდენიმე კონტრდარტყმა მიაყენეს გერმანელ ფაშისტთა ჯარებს კრიუკოვოს, ხლებნიკოვოს და იახრომის რაიონში. ჩრდილო-დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მოსკოვში ფაშისტთა შემოჭრის საფრთხე აღიკვეთა.

ძალზე მწვავედ და დაძაბულად ვითარდებოდა მოვლენები მოსკოვის სამხრეთით ტულის რაიონში, სადაც ჩვენი ჯარები იგერიებდნენ გუდერიანის მე-2 სატანკო არმიის გააფთრებულ შემოტევას. დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთის აქტიურმა მოქმედებამ დეკემბრის პირველ რიცხვებში ფაშისტები აიძულა უკან დაეხიათ. გუდერიანი, რომლისგანაც ჰიტლერი მიიჩევა მარტოოდენ გამარჯვების რელაციების მიღებას, მოახსენებდა, რომ „მისი ჯარების მდგომარეობა დიდად საშიშია".

ასევე ჩაიშალა ჰიტლერელთა ცდები მოსკოვისათვის დაერტყათ დასავლეთის ფრონტის ცენტრში — ნარო-ფომინსკის რაიონში. მტერმა დიდი ზარალი ნახა და უკუგდებულ იქნა მდინარე ნარის გაღმა. მაგრამ ფაშისტური სარდლობა მაინც არ კარგავდა წარმატების იმედს. ჰიტლერელები იახრომის, დმიტროვისა და კრასნაია პოლიანის რაიონში გავიდნენ და მოსკოვიდან 25-30 კილომეტრზე აღმოჩნდნენ — ისინი უკვე ბინოკლით ათვალიერებდნენ ქალაქს. მათ ეგონათ, ცოტაც, და მოსკოვი დაემხობაო. 2 დეკემბერს „ცენტრის" არმიის ჯგუფის სარდალი ფონ ბოკი ირწმუნებოდა, მოწინააღმდეგის თავდაცვა კრიზისის ზღვარზეაო, იმავე დღეს გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა ჰალდერმა დღიურში ჩაწერა, რუსების წინააღმდეგობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია და მათ ახალი ძალები აღარ ჰყავთო.

კრიზისი მართლაც ახლოვდებოდა, მაგრამ არა ჩვენი თავდაცვისათვის, არამედ მოსკოვზე ფაშისტური იერიშისათვის. დეკემბრის დამდეგისათვის მტრის დამკვრელი დაჯგუფებანი სისხლით დაიცალა და დასუსტდა. მოსკოვისათვის მოღერებული მუშტი უსუსურად გადმოეკიდა ჰაერში. იგივე ბლუმენტრიტი, დეკემბრის დამდეგს მდგომარეობას რომ აფასებდა, წერდა: „ეს შემობრუნების პუნქტი იყო ჩვენს აღმოსავლეთის კამპანიაში — იმის იმედით, რომ რუსებს 1941 წელს გამოვიყვანდით ომიდან, სულ უკანასკნელ წამს გაცრუვდა... ჩვენს წინაშე იდგა არმია, რომელიც თავისი საბრძოლო თვისებებით ბევრად აღემატებოდა ყველა სხვა არმიას, რომელსაც კი ოდესმე შევხვედრივართ ბრძოლის ველზე".

ამრიგად, პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის მძლავრი ძალისხმევის შედეგად მოსკოვთან მტერი შეაჩერეთ. ვითარება ჩვენ სასარგებლოდ შეიცვალა. შეიქმნა საჭირო პირობები იმისათვის, რომ საბჭოთა ჯარები თავდაცვიდან შეტევაზე გადასულიყვნენ.

კონტრშეტევა 5-6 დეკემბერს დაიწყო უზარმაზარ სივრცეზე — კალინინიდან ელცამდე. ნაჯის მოულოდნელობით და ძალით მან თავზარი დასცა მტერს. ისტორიაში ჯერ არ ყოფილა იმის მაგალითი, რომ ხანგრძლივი ძნელი თავდაცვის შემდეგ ჯარები, რომლებსაც მოწინააღმდეგესთან შედარებით რიცხობრივი უპირატესობა არ ჰქონდათ, უპაუზოდ, ამოუსუნთქავად თავდაცვიდან პირდაპირ გადასულიყვნენ გადამწყვეტ კონტრიერიშზე.

შეტევითი ბრძოლების დროს, რომელიც 1942 წლის იანვრის დამდეგამდე გაგრძელდა, ჩვენმა ჯარებმა შემუსრეს ფაშისტური დამკვრელი შენაერთები, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან რომ მოუახლოვდნენ მოსკოვს, და მოწინააღმდეგე დედაქალაქიდან 100-250 კილომეტრზე უკუაგდეს. ბოლო მოეღო საფრთხეს, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქს და მოსკოვის სამრეწველო რაიონს შეექმნა.

მოსკოვთან დაწყებული კონტრიერიში საერთო შეტევად გადაიზარდა ორი ათას კილომეტრ ფრონტზე და 1942 წლის აპრილის მიწურულამდე გასტანა. მასში მონაწილეობდნენ ცხრა ფრონტი, შავი ზღვისა და ბალტიის ფლოტების ხომალდები და ნაწილები, უმაღლესი მთავარსარდლობის მთელი ავიაცია.

მოსკოვთან საბჭოთა ჯარების გამარჯვებას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან დასაბამი მისცა ძირეულ შემობრუნებას დიდი სამამულო ომისა და მთელი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში. მკაცრი და მრისხანე ორმოცდაერთის იმ დეკემბრის დღეებში ამობრწყინდა ჩვენი გამარჯვების გარიჟრაჟი. „მოსკოვთან ისტორიულმა გამარჯვებამ, — აღნიშნავდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — ახალი გმირობისათვის შთააგონა საბჭოთა ადამიანები, განუმტკიცა რწმენა, რომ მტერს გარდაუვალად გაანადგურებდა". სწორედ მოსკოვთან დაიწყეთ ბერლინისაკენ გამარჯვების კილომეტრების თვლა.

მოსკოვთან გამარჯვებამ კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი, გააძლიერა ანტიჰიტლერული კოალიცია, ძალა შემატა ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლებს, გააქტიურა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის დამცველთა უმაგალითო გმირობა ოქროს ასოებით ჩაიწერა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ისტორიაში. იგი მარად შთამაგონებელი მაგალითი იქნება ყველა თაობის საბჭოთა ადამიანებისათვის.

პოლკოვნიკი **ლ. კოზლოვი,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, მოსკოვის ბრძოლის მონაწილე.**

## მიეძღვნა ხალხის უკვდავ გმირობას



**მოსკოვის** ოლქის მიდამოებში 900-მდე ძეგლი და მემორიალია, რომლებიც სამამულო ომის თემაზეა შექმნილი. ხელოვნების ამ შესანიშნავ ნაწარმოებებს კიდევ შეემატა მამაც პანფილოველთა გმირობისადმი მიძღვნილი მონუმენტი, რომელიც მოჟაისკის გზატკეცილზე მოსკოვის ბრძოლების 40 წლის თავისათვის მზადების დღეებში გაიხსნა.

**პირველ სურათზე** ამ მონუმენტის საზეიმო გახსნაა აღბეჭდილი, ხოლო **მეორე სურათი** სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ცენტრალურ მუზეუმშია გადაღებული. მნახველები მოსკოვის დაცვისადმი მიძღვნილ ექსპოზიციას ათვალიერებენ.

**საქდესის ფოტოქრონიკა.**



# მოსკოვს იცავდა მთელი ხალხი

**ომის** მეხუთე თვე იყო. ბლიცკრიგის ჩაშლით გაცოფებული ფაშისტური ურდოები გააფთრებით მოიწევდნენ მოსკოვისკენ. გერმანელთა ჯარების შემოტევა, რომლის კოდური სახელწოდება იყო „ტაიფუნი", 30 სექტემბერს დაიწყო გუდერიანის სატანკო ჯგუფისა და გერმანელთა მეორე არმიის დარტყმით. მათ იერიში მიიტანეს ბრიანსკის ფრონტის ჟუკოვკა-შოსტკის უბანზე. ოქტომბრის დამდეგს ფაშისტებმა ძლიერი დარტყმები მიაყენეს ჯარებს, რომლებიც მოსკოვისაკენ უკეტავდნენ გზას. სამივე — ბრიანსკის, დასავლეთისა და სარეზერვო ფრონტი სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჩაება. დაიწყო დიდი მოსკოვის ბრძოლა.

მთელ ქვეყანასთან ერთად მოსკოვს იცავდნენ და მტერს მუსრავდნენ საბჭოთა საქართველოს მებრძოლები და მეთაურები. მთელ ჩვენს ქვეყანაში მოიხვეჭეს სახელი საბჭოთა კავშირის გმირებმა გენერალ-პოლკოვნიკებმა კონსტანტინე ლესელიძემ და პორფილე ჩანჩიბაძემ. ამ ორ თვალსაჩინო მხედართმთავარს აკავშირებდა ნამდვილი ვაჟკაცური მეგობრობა, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთგულობდნენ. ორივენი მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთიდან იყვნენ, ერთად სწავლობდნენ სკოლაში, ერთად დაამთავრეს საქართველოს გაერთიანებული სამხედრო სკოლა, ერთად ებრძოდნენ 1922 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მტრებს. 1932 წელს მეგობრები დაშორდნენ, მაგრამ 1941 წლის შემოდგომაზე ისინი კვლავ ერთად შეჰყარა მოსკოვის ბრძოლამ.

ეს იყო 1941 წლის 15 სექტემბერი. პ. ჩანჩიბაძე დანიშნეს 107-ე მოტომსროლელთა დივიზიის მეთაურად, რომელსაც წილად ხვდა პატივი მოსკოვისაკენ გზა გადაეღობა გერმანელ ფაშისტთა „სს"-ის რჩეული სატანკო დივიზიისათვის. მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა დიდ ძალებს და ძლიერად შემოუტია. ჩანჩიბაძის დივიზია ალყაში მოექცა, ფაშისტები ყველა მხრიდან უტევდნენ, ძალები აშკარად უთანაბრო იყო. მაგრამ პოლკოვნიკ ჩანჩიბაძის 107-ე ციმბირელთა დივიზია არ შედრკა. 28 დღის სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ჩანჩიბაძემ გაარღვია მტრის ალყა და გადაარჩინა დივიზია. კვლავ სასწაულებრივი მამაცობა გამოიჩინეს ჩანჩიბაძის მებრძოლებმა, როცა ჩვენი ჯარები გადამწყვეტ კონტრიერიშზე გადავიდნენ. ჩანჩიბაძის 107-ე დივიზიამ ბრწყინვალედ შეასრულა სარდლობის დავალება და ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთს პირველს მიენიჭა მე-2 გვარდიულის წოდება, მამაცმა მეთაურმა კი კიდევ ერთი ორდენით დაიმშვენა მკერდი.

მოსკოვის დაცვის ისტორია განუყოფლად არის დაკავშირებული ტულის დაცვის ისტორიასთან. 29 ოქტომბერს გუდერიანის არმიის მეწინავე ნაწილებმა ორიოლი აიღეს და ტულას მიადგნენ, რათა შემდეგ მოსკოვისაკენ დაძრულიყვნენ. პოლკოვნიკი კ. ნ. ლესელიძე ტულის დამცველი 50-ე არმიის არტილერიის მეთაურობდა. დიდი საზრიანობა, არტილერისტის ოსტატობა, ვაჟკაცობა და თავდადება გამოიჩინა კონსტანტინე ლესელიძემ, რომელსაც დავალებული ჰქონდა უზრუნველეყო ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვა ტულის მისადგომებთან. გუდერიანის სახელგანთქმული სატანკო არმია უმწეო აღმოჩნდა ლესელიძის არტილერისტთა წინაშე, რომელმაც ტანკების წინააღმდეგ საზენიტო ქვემეხებიც კი გამოიყენა. ლესელიძეზე მაშინ ამბობდნენ, არტილერიას ისე ხელმძღვანელობს, როგორც დირიჟორი ორკესტრსაო. მარტო ერთ დღეს — 1 ნოემბერს აქ 40 ტანკი და 500-ზე მეტი ჰიტლერელი მოსპეს. უნარიანი მოქმედებისა და ვაჟკაცობისათვის კ. ნ. ლესელიძეს 1942 წლის 2 იანვარს გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს და წითელი დროშის ორდენი გადასცეს.

მოსკოვის ბრძოლის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი ფურცელია პოდოლსკელი კურსანტების უკვდავი გმირობა. 1941 წლის 5 ოქტომბერს საბჭოთა მფრინავებმა აღმოაჩინეს მოწინააღმდეგის ტანკებისა და მოტოქვეითი ჯარის კოლონა, რომლის სიგრძე 25 კილომეტრს აღწევდა და სპას-დემენსკის მხრიდან იუხნოვისკენ მიიწევდა. ფაშისტების განზრახვა გასაგები იყო: მოულოდნელად გასულიყვნენ მოსკოვისაკენ. მოეწყვიტათ ჩვენი სახმელეთო ჯარები, რომლებიც სმოლენსკ-მოსკოვის მთავარ მიმართულებას იცავდნენ, პანიკა გამოეწვიათ და ხელთ ეგდოთ დედაქალაქი. ასე შეაფასეს ეს გენერალურ შტაბში, როდესაც სასწრაფოდ მოახსენეს მფრინავების მიერ მოწოდებული ცნობა შტაბის უფროსს ბ. მ. შაპოშნიკოვს. კრიზისული ვითარება იქმნებოდა. მოსკოვამდე სულ 130 კილომეტრი რჩებოდა. ამ დროისათვის მოწინააღმდეგესა და მოჟაისკის თავდაცვის ხაზს შორის არ იყო ძალები, რომლებიც შეძლებდნენ მტრის შეკავებას. საბრძოლო განგაშით დაუყოვნებლივ ფეხზე დააყენეს პოდოლსკის ქვეითთა და არტილერისტთა სასწავლებლების კურსანტები და მალოიაროსლავეცში გაგზავნეს თავდაცვითი პოზიციების შესაქმნელად. სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს პოდოლსკელი კურსანტების უკვდავებას, პირველებმა რომ გადაუღობეს გზა მტრის უძლიერეს დარტყმას. 57-ე მოტოკორპუსის სარდალმა გენერალმა ბლუმენტრიტმა მათ „გადარეული წითელი იუნკერები" უწოდა. კომკავშირელი კურსანტები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ათჯერ მეტ მტერს. მათ შორის იყვნენ ჩვენი მამაცი თანამემამულენიც სახელოვანი „წითელი იუნკერები" მიხეილ გოგიჩაიშვილი და ჯონდო ჯღამაძე, რომლებიც ამჟამად თბილისში მუშაობენ, აგრეთვე დიმიტრი აბაშიძე, შალვა (ბუტა) ჩიქვინიძე, გიორგი ცხვირავაშვილი, სურენ გასპარიანი და თენგიზ ზაალიშვილი. სამი ათასი პოდოლსკელი კურსანტიდან ორი ათასზე მეტი რამდენიმე დღეში დაიღუპა იუხნოვთან, მედინთან, მალოიაროსლავეცთან, ილინსკისთან, დეტჩინოსთან...

მტრის სატანკო კოლონები დაგრიალებდნენ ვოლოკოლამსკის გზატკეცილთან. 316-ე მსროლელთა დივიზიამ, შემდგომში გენერალ ი. ვ. პანფილოვის სახელობის მე-8 გვარდიულმა წითელდროშოსანმა დივიზიამ, გადაუღობა მათ გზა. დუბოსეკოვოსთან მამაცურად ებრძოდა მტერს 28 გმირი. ფაშისტთა ჯავშნოსნებმა ვერა და ვერ გაარღვიეს პანფილოველთა თავდაცვა. სწორედ მაშინ გაისმა პოლიტხელ კლოჩკოვის ცნობილი სიტყვები: „დიდია რუსეთი. უკანდასახევი კი არა გვაქვს — ჩვენს უკან მოსკოვია!". 28 პანფილოველმა ბოლომდე მოიხადა მხედრული ვალი. მათ ჰიტლერელთა ტანკების ქვეშ ამოხდათ სული, მაგრამ მოსკოვისკენ მაინც არ გაუშვეს მტერი.

მოსკოვთან პანფილოველთა გმირობა გაიმეორა ჩვენმა თანამემამულემ ლეიტენანტმა პეტრიაშვილმა, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად ააფეთქა ფაშისტთა ტანკი. სახელგანთქმულ პანფილოველთა დივიზიაში გმირულად ებრძოდა მტერს ავთანდილ ბერუჩაშვილი. ტანკების წინააღმდეგ იბრძოდნენ ლეიტენანტ კაკულიას მეომრები. გენერალ პანფილოვის დივიზიის ეს პატარა რაზმიც კლდედ აღიმართა მტრის ტანკების არმადის წინ.

როცა ფიცხელ ბრძოლაში ყველა დაიღუპა, მამაცმა მეთაურმა მაგრად ჩასჭიდა ხელი „მაქსიმკის" სახელურებს და მანამდე უშენდა ცეცხლს სატანკო დესანტს, სანამ მტრის ტყვიამ არ განგმირა და გვერდზე არ მოუწვა მებრძოლ ამხანაგებს.

მოსკოვის ბრძოლის მატიანეში ბრწყინვალე ფურცლად ჩაიწერა იმ სახელგანთქმული ჯავშნიანი მატარებლის გმირობა, რომლის ეკიპაჟი საქართველოს დედაქალაქში ჩამოყალიბდა. მისი შემადგენლობა ინტერნაციონალური იყო. სხვებთან ერთად ფაშისტებს გმირულად ებრძოდნენ დამმიზნებელი გიორგი ქოქოშვილი, მზევრავი ნიკოლოზ კვაჭანტირაძე, მემანქანე ალექსანდრე მნათობიშვილი, ლეიტენანტი პეტრე ქივოვი, წითელგვარდიელი სერგი ლარიბოვი, მამაცი მეთაური ალექსანდრე ჯახიევი. ესენი ყველანი თბილისელები იყვნენ. ერთ-ერთი ბრძოლის დროს მემანქანე ალექსანდრე მნათობიშვილს მკერდში მოხვდა ჭურვის ნამსხვრევი. ანა ანტონოვსკაიას წიგნმა „დიდმა მოურავმა", რომელიც უბეში ედო ჩვენს თანამემამულეს, სამშობლოს მამაცი დამცველის ბედი გაიზიარა და მასავით ლეგენდად იქცა. ეს რელიქვია ახლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში ინახება. ნარო-ფომინსკის მისადგომებთან ვაჟკაცურად იბრძოდა ლეიტენანტი თენგიზ უზნაძე. ნოემბრის ფიცხელ ბრძოლებში მან და მისმა მეომრებმა 150-ზე მეტი ჰიტლერელი მოსპეს. ცამეტი ჭრილობა მიიღო თენგიზმა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიატოვა, სანამ იერიში არ უკუაგდეს. მძიმედ დაჭრილი თ. უზნაძე თბილისის ჰოსპიტალში ჩამოიყვანეს. აქ შეწყდა მისი ვაჟკაცური გულის ძგერა.

ბრძოლის ველზე დაიღუპა პოლიტხელი, მოსკოვის კონსერვატორიის ყოფილი დოცენტი კოტე შოთნიაშვილი, თავის ტანკთან ერთად აფეთქდა კადრის ტანკისტი ოთარ ყიფიანი. გმირულად იბრძოდნენ კუიბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის მსმენელი ირაკლი ჯორჯაძე და ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის მსმენელი ვლადიმერ ჯანჯღავა. ისინი კვლავ მხნედ არიან ჩვენს შორის. ირაკლი ჯორჯაძე, გენერალ-ლეიტენანტი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია, ვლადიმერ ჯანჯღავა თადარიგის პოლკოვნიკი, ქალაქის სახალხო კონტროლის თავმჯდომარეა.

საბჭოთა კავშირის გმირები გახდნენ მოსკოვის ბრძოლის მონაწილენი, სახელმოხვეჭილი ასები კარლო მებაღიშვილი და გიორგი ინასარიძე. მომავალი გენერლები — საქართველოს სახელოვანი შვილები ესტატე ტატანაშვილი, გალაქტიონ ალფაიძე, ნარიმან დალაქიშვილი, მიხეილ მიქელაძე, პანტელეიმონ შიოშვილი. მოსკოვთან იბრძოდნენ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირები ირაკლი ციციშვილი, ზაქარია ხიტალიშვილი. თავისი საზღვაო ბრიგადით მტერს თავზარს სცემდა ჩვენი თანამემამულე კონსტანტინე სუხიაშვილი, რომელიც შემდეგ კონტრ-ადმირალი გახდა. საკადრო ჯარებში, რომლებიც მოსკოვის დასახმარებლად გაიგზავნა, გმირობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა ირაკლი ხარიტონაშვილმა, ამჟამად გენერალ-მაიორმა, საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსმა. 41 წლის შემოდგომაზე მოსკოვის მისადგომებთან იბრძოდა შესანიშნავი ქართველი პოეტი მირზა გელოვანი. ამ დღეებში თავის დღიურში ჩაუწერია: „მოსკოვი საბჭოთა სამშობლოს გულია. მე წილად მხვდა ბედნიერება მოსკოვს ვიცავდე!". ეს სიტყვები შეეძლოთ გაემეორებინათ მიხეილ კიკნაძესაც, ანტონ ნაკაშიძესაც, შალვა ბრეგაძესაც და ბევრ სხვა ჩვენს თანამემამულეს, რომლებმაც დიადი საბჭოეთის შვილებთან ერთად იმ მრისხანე ჟამს მკერდით შეკრეს მოსკოვის გზა, ფეხი არ დაადგმევინეს მტერს მოსკოვის უწმინდეს მიწაზე.

**ლ. დოლიძე.**

# დაფერფლილი სიცოცხლე

**ჩვენი** ხალხის ცხოვრებაში ისტორიული მოვლენა, რომელიც მოსკოვისათვის ბრძოლებთან არის დაკავშირებული, უნებლიეთ გვახსენებს ჩვენს ბევრ ნაცნობ მეგობარს, კომუნისტსა და პატრიოტს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს დედაქალაქის დაცვას.

ისტორიამ კარგად იცის, რომ მოსკოვის მძიმე ბრძოლებში განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში შექმნილ სამხედრო შენაერთებს. საამაყოა იმის გახსენება, რომ ამ შენაერთებში ჩვენი რესპუბლიკის ბევრი წარმომადგენელიც მსახურობდა და მოსკოვის დაცვის ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდა კომუნისტები, რომლებიც დიდი სამამულო ომის დაწყების წინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმაღლეს პარტიულ სკოლაში სწავლობდნენ და ომის პირველსავე თვეებში ამ სამხედრო ნაწილებში პოლიტმუშაკებად დაინიშნენ.

ციმბირის ერთ-ერთ საბრძოლო შენაერთში იყო თბილისელი კომუნისტი შალვა ნონიკაშვილი, რომელმაც ქართველი ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად ის-ის იყო დაამთავრა უმაღლესი პარტიული სკოლა. მოსკოვში სასწავლებლად გაგზავნამდე მან წარმატებით დაიცვა დიპლომი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და თბილისის სტალინის სახელობის რაიონის კომკავშირლებმა იგი რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს.

1941 წლის შემოდგომაზე შალვა ნონიკაშვილი ერთ-ერთი დამკვრელი ბრიგადის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილედ დაინიშნა. ნოემბრის მიწურულს ბრიგადის ნაწილებმა საბრძოლო პოზიციები დაიკავეს მოსკოვის სახელობის არხის გასწვრივ და დედაქალაქის ჩრდილოეთ მისადგომებზე მტრის ჭარბ ძალებს მედგრად შეუტიეს.

მეტად მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა. შალვა ნონიკაშვილი ყოველთვის ბრძოლის წინა ხაზზე იყო. იგი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მებრძოლებს. ერთ-ერთ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა შალვა ნონიკაშვილიც. სწორედ იმ დღეს ბრიგადამ მტერს გადამწყვეტ ბრძოლაში სძლია და საუკეთესო ძალები გაუნადგურა. მალე მთელ დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა არმიებმა გაარღვიეს ჰიტლერელთა გამაგრებული პოზიციები და მტრის დიდძალი ცოცხალი ძალა და ტექნიკა მოსპეს.

მოსკოვის მახლობლად სოფელ დედიუნოვოში აღმართულ ობელისკზე იმათ შორის, ვინც სიცოცხლე შესწირა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის გმირულ დაცვას, შალვა ნონიკაშვილის სახელიც არის ამოკვეთილი. ამ სახელებს არასოდეს დაივიწყებს მადლიერი შთამომავლობა.

**ვ. ჯაოშვილი,**
**მოსკოვის დაცვის მონაწილე, გადამდგარი პოლკოვნიკი, პროფესორი.**

## საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

დედამიწის ზურგზე

## 4 დეკემბერი

# საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ცნობა

### რუმინეთში ა. ა. გრომიკოს ვიზიტის შესახებ

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფებოდა რუმინეთში, 2-3 დეკემბერს ესაუბრა რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ნ. ჩაუშესკუს.

ა. ა. გრომიკომ ნ. ჩაუშესკუს მიესალმა და ყოველივე საუკეთესო უსურვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სახელით.

ამხანაგურ ვითარებაში ჩავლილი საუბრების დროს გაიმართა საფუძვლიანი აზრთა გაზიარება საერთაშორისო პოლიტიკის ზოგიერთ აქტუალურ პრობლემებზე, მათ შორის, ევროპასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-რუმი... თის ორმხრივი თანამშრომლ... საკითხებზე.

საბჭოთა კავშირ-რუმინე... ურთიერთობის საკითხთა გან... ლვამ დაადასტურა, რომ ორ... მხარე ისწრაფვის კიდევ უფ... განავითაროს და სრულყოს ... ტიერთხელსაყრელი თანამშრ... ლობა საბჭოთა კავშირ-რუმი... თის უმაღლესი დონის შეხვედ... ბის სულისკვეთებით.

საერთაშორისო პრობლემებ... განხილვისას ხაზგასმით აღინიშ... რომ საბჭოთა კავშირსა და რ... მინეთს მტკიცედ აქვთ გადა... ვეტილი სხვა მოძმე სოციალ... ტურ სახელმწიფოებთან ერთ... შემატონ თავიანთი წვლილი მშ... დობის შენარჩუნებას და გან... კიცებას, გამალებული შეიარა... ბის შეკავებას და განიარაღ... საერთაშორისო დაძაბულობ... შენელების გაღრმავებას.

# მდგომარეობა პოლონეთში

**ვარშავა.** ვარშავის ტრაქტორსაშენ ქარხანა „ურსუსის" პარტიულ ორგანიზაციაში შეხვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ცენტრალური კომიტეტის მდივანს ს. ოლშოვსკის. შეხვედრა გახსნა პარტკომის მდივანმა მ. ვალმა, რომელმაც თქვა, რომ სოციალიზმის მოწინააღმდეგენი აქტიურდებიან ამ საწარმოშიც. მიმდინარეობს კამპანია საქარხნო პარტიული ორგანიზაციის დათხოვნისათვის. ჩვენ, თქვა მ. ვალმა, არავის არ მივცემთ უფლებას განხეთქილება შეიტანოს პარტიასა და მუშათა კლასს შორის. კმარა დადგენილებების მიღება. დროა სიტყვიდან კონკრეტულ საქმეებზე გადავიდეთ. ცენტრალური ხელისუფალნი უფრო მტკიცენი უნდა იყვნენ.

თავის გამოსვლაში ს. ოლშოვსკიმ პროფგაერთიანება „სოლიდარობის" მოქმედება დაახასიათა როგორც აშკარა პოლიტიკური ბრძოლა სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა სულ უფრო მწვავდება და გამოხატულებას პოულობს რეზოლუციებსა და მოთხოვნებში, რომლებსაც „სოლიდარობის" სხვადასხვა რგოლი აყენებს მოგონილი და პროვოკაციული საბაბით. ვ. იარუზელსკიმ დამავალა განვაცხადო, თქვა შემდეგ ს. ოლშოვსკიმ, რომ ასეთ სიტუაციაში გამოწვევას მივიღებთ. ნუ ჰგონიათ ვალენსას, ბურიაკს, რულევსკისა და სხვებს, რომ ამგვარი ზრახვების განხორციელების საშუალებას მივცემთ.

როცა შეეხო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში შექმნილ ვითარებას ს. ოლშოვსკიმ აღნიშნა, რომ პარტიის ხელმძღვანელი როლი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ამ მნიშვნელოვან დარგში შესუსტებულია. გამორიცხული არ არის, რომ ვარშავის „სოლიდარობა" შეეცდება გაფიცვა მოაწყოს რადიოსა და ტელევიზიაში. მაგრამ, ისევე როგორც წინათ, არ დავუშვებთ მათ რადიოსა და ტელევიზიაში.

შემდეგ ს. ოლშოვსკი შეეხო ვარშავის ოფიცერთა სახანძრო სასწავლებელში მომხდარ ამბებს, სადაც კურსანტთა ნაწილი აჰყვა პროვოკატორებს და გაფიცვა მოაწყო პოლიტიკური ლოზუნგებით. გაფიცვას ხელმძღვანელობდა „სოლიდარობის" ვარშავის განყოფილების ერთ-ერთი ლიდერი, რომელმაც კურსანტებს მოუწოდა არ დამორჩილებოდნენ შინაგან სა... ეთა სამინისტროს და „სოლი... რობის" მიერ დასახმარებლად ... მოწვეულ „მუშათა დაცვის ბ... გადებთან" ერთად წინააღმდეგ... გაეწიათ ხელისუფლების ორგა... ებისათვის.

ექსტრემისტებმა, თქვა ს. ო... შოვსკიმ, განიზრახეს, სასწავ... ბელი გამოეყენებინათ საც... პოლიგონად შინაგან საქმეთა ... მინისტროზე შემდგომი შეტ... ბისათვის. პარტიისა და მთავ... ბის ხელმძღვანელობამ მიიღო ... დაწყვეტილება სასწავლებლის ... წმენდის შესახებ, რაც განხორ... ელდა კიდეც. ამ შემთხვევაში ... ლისუფლებამ თავისი ძალა ... მოაჩინა. მიღებული ზომები ... მოთხოვნების პასუხია, რომ ... ხორციელდეს უფრო მტკიცე ... ლიტიკა.

ს. ოლშოვსკიმ ილაპარაკა პრ... ფკავშირებთან ურთიერთობის ... ვის მთავრობაში პასუხისმგებ... მინისტრის ს. ჩოსეკისა და ... ვალენსას მოლაპარაკების შეს... ამ უკანასკნელმა ნერვულად ... ილო ცნობა სახანძრო სასწავ... ბელში კონფლიქტის მოწეს... ბის შესახებ და დაემუქრა ... ყნის ხელმძღვანელობას.

ს. ოლშოვსკიმ თქვა, რომ მ... უნდა იყვნენ მოვლენების ... ტიკული განვითარებისათვის ... დგან პროფგაერთიანებაში არ... ძალები, რომლებიც სწორედ ... ას ესწრაფვიან. ამის მაგალი... კურონის მოქმედება, რომე... შექმნა ახალი „კლუბები", არ... ბითად კი პოლიტიკური პარ... ახლახან ვარშავის „სოლიდა... ბაში" გაიმართა ამ „კლუბებ... წარმომადგენელთა მეორე შე... დრა, რომელზეც განიხილეს ... ნიშნული ორგანიზაციის პროგ... მა. ახალ პოლიტიკურ პარტ... საფუძვლად უდევს აგრესიუ... ანტისაბჭოურობა.

დაახასიათა რა პოლონეთის ... ონომიკური ვითარება, ს. ოლ... ვსკიმ განაცხადა, რომ ეკონომ... დარგში შეიმჩნევა მკვეთრი ... ვეითება, ჩვენ შეგვიძლია ვ... ნიოთ სოციალისტური თანამე... ბრობის ქვეყნების, და უწინა... ყოვლისა, საბჭოთა კავშირის ... ხმარების იმედი, მაგრამ მთ... იმედები ამაზე არ უნდა და... ყაროთ, ახლა მთავარია შრ... უამისოდ ვერაფერს ვერ მი... წევთ, დასძინა ს. ოლშოვსკიმ.

### უშიშროების საბჭოში

# კ. ვალდჰაიმის გადაწყვეტილებ...

**ნიუ-იორკი.** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა მოხსნა თავისი კანდიდატურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის არჩევნებში. როგორც ცნობილია, დღემდე გამართული 16 ტურის მსვლელობაში ვერც კ. ვალდჰაიმმა და ვერც მეორე კანდიდატმა — ტანზანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სალიმ ა. სალიმმა ვერ მოაგროვეს ხმების ჭირო რაოდენობა. ასარჩევად ... ცილებელია უშიშროების საბ... ხუთივე მუდმივი წევრის ხმა.

კ. ვალდჰაიმმა წერილით მ... რთა უშიშროების საბჭოს თ... ჯდომარეს, რომელშიც ით... აღარ შეიტანონ მისი გვარი ... დიდატთა სიაში.

კ. ვალდჰაიმი გენერალური მ... ვნის პოსტზე იმყოფება მე... ხუთწლიანი ვადით.

# ესპანეთის მთავრობის თხოვნა

**ბრიუსელი.** ესპანეთის მთავრობის ოფიციალური წერილი ამ ქვეყნის ნატოში მიღების თაობაზე გადაეცა ჩრდილოატლანტიკური ბლოკის გენერალურ მდივანს ი. ლუნსს. ამასთან დაკავშირებით გავრცელებულ ნატოს საბჭოს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ნატოს გენერალური მდივანი „კმაყოფილებით შეხვდა ესპანეთის მთავრობის ინიციატივას". იუწყებიან, რომ ესპანეთის განცხადებას განიხილავენ უახლოეს დღეებში ნატოს საბჭოს სესიაზე, რომელზეც ჩრდილოატლანტიკური ბლოკის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები გამოთქვამენ თავიანთ აზრს ამ საკითხზე.

### კანადა-გვატემალ...

# გაიწვიე... დიპლომატიურ... პერსონალ...

**მანაგუა.** როგორც ნიკარაგ... ნუევას სააგენტო იუწყება, კ... დამ გაიწვია თავისი დიპლომ... ური პერსონალი გვატემალ... მის მიმართ მემარჯვენე „ხავ... ლის ესკადრონების" მუდმ... მუქარის გამო.

სააგენტო, რომელიც იმო... გვატემალაში კანადის საე... წარმომადგენელთა განცხადე... აღნიშნავს, რომ ლუკას გა... რეჟიმის სამსახურში მყოფი ... რორისტები სიკვდილით ემუ... ბიან დიპლომატებს. ეს დაი... მას შემდეგ, რაც კანადამ გვ... მალის ხელისუფლებას მოსთ... ვა გამოიძიოს ერთ-ერთი კანა... ლი მისიონერის მკვლელობის ... ქმე.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

# ოქროს მტევანი

## ცხოვრება ქართული სოფლისა

— აბა ახლა ტაშის მეტი არაფერი დაგვრჩენია, კონსტანტინე! — მითხრა ერთმა მწერალმა, როდესაც „ოქროს მტევანი" წავუკითხე.

— არა, ჩემო კარგო, ცალი ფეხით დავლურს ვერ ჩამოუვლი!

— ვერ გავიგე შენი ქარაგმა!

— ტაში და დიდება ვენახს, მაგრამ თუ სუფრაზე ხორცი არ მოიტანე, ყველიც არ მოიტანე, პურისჭამას რა გემო ექნება!

— რა ვიცი, ამას წინათ გაზეთში წავიკითხე, ვაზისუბნის კოლმეურნეობამ ყველაფრის გეგმა შეასრულაო! იმ ყველაფერში ხორცი არ შედის?

— როგორ არ შედის! გასულ წელს თითქმის ორჯერ მეტი ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს, ვიდრე გეგმაში ეწერა!

— მაშ რა მოხდა, დავლურს ხელი რამ შეუშალა?!

— ამ წუთში ყველაფერს გეტყვი.

ჩემი სამახსოვრო რვეული გავშალე.

გეგმის შესრულება ყოველთვის როდი ნიშნავს გამარჯვებას. შარშან ვაზისუბნის კოლმეურნეობამ ხორცი, რძე და კვერცხი ჭარბად ჩააბარა სახელმწიფოს, მაგრამ ამ სიკეთეს ერთი ისეთი მანკი დაჰყვა, რამაც მეცხოველეებს სიხარული ჩაუმწარა. — კოლმეურნეობას ერთი კილოგრამი ძროხის ხორცის წარმოება იმდენად ძვირი დაუჯდა — ცხრა მანეთი და 63 კაპიკი, — რომ მარტო მეძროხეობის ფერმამ 182 ათასი მანეთის ზარალი ნახა.

სამწუხაროდ, ასევე ძვირი დაჯდა ღორის ხორცი, რძე და კვერცხი...

ასეთი მაღალი თვითღირებულება პირდაპირ კრიჭაში უდგას სახელმწიფო გეგმას. გამოდის რომ, — რაც მეტი ძროხა და ღორი გეყოლება, რაც მეტი ქათამი დაიკაკანებს ფერმის ეზოში, მით უფრო მეტი იქნება ნივთიერი ზარალიც და სულიერი წუხილიც.

აი, ამგვარ გაუმართლებელ, არაბუნებრივ წინააღმდეგობას წავაწყდი არა მარტო საქართველოს ერთ-ერთ უძველეს და უმდიდრეს კოლმეურნეობაში, — ამ სახადს ვერ გადაურჩა ბევრი სხვა სოფელიც.

ამავე დროს, როგორც კოლმეურნეობის საანგარიშო წიგნებში ამოვიკითხე, წვრილფეხა თუ მსხვილფეხა პირუტყვს თავსაყრელად ჰქონდა თივა, ჩალა, ჭარხალი, სილოსი...

აგერ ერთი ციფრი რანაირად მეხვეწება, მეც გამომაჩინე, კონსტანტინე, თუ გინდა ზოგიერთი მწყემსი და მწველავი გავაწითლოო...

1587 ტონა უხეში და წვნიანი საზრდოსაკვები, — ასეთი იყო ვაზისუბნის კოლმეურნეობის გეგმა. სინამდვილეში კი დაამზადეს 2455 ტონა...

მაშ ასე უღმერთოდ რამ დაუგრძელა სადჩვე ხორცის თვითღირებულებას?!

გვყავს საქონელი, გვაქვს საკვები, საქმე კი წინ არ მიდის! იქნებ მომვლელ-მზრუნველი არ უვარგა ამოდენა ცხვარ-ძროხას?!

— ყველგან არ უვარგა? დაუჯერებელია! თუმცა კი ამბობენ, მევენახეს ოქროს სასახლე რომ დაუდგა, მწყემსის კომბალს ხელში ვერ დააჭერინებო... გურჯაანელებზე ეგ არ ითქმის, ჩვენი რაიონის სოფლებს წინათაც ბევრი კარგი მენახირე დაუდიოდა, მათი ძე და ჩამომავალი დღესაც არ დალეულა ალაზნის პირებსა და გომბორის კალთებზე! — ცოტა მაღალ ფარდებში მითხრა მღებრიშვილმა: ეტყობოდა, იმ პირველი უამური შთაბეჭდილების განელება ეწადა.

ერთი ხანი ყუჩად იჯდა, თუმცა უკვე ვიცოდი, რასაც მეტყოდა. რაც არაერთხელ გამეგონა არაშენდაში, ველისციხეში, მელაანში...

შემოტანილი საკვების სიძვირე,
მეცხოველეობის ნაწარმის დაბალი შესასყიდი ფასები,
შრომის მაღალი ანაზღაურება...

სოფლის მეთაურები უპირველეს ყოვლისა ამ „სამებას" აბრალებენ თვითღირებულების ყველა უკუღმართობას.

მე კი მგონია, ამ საწუხარ მოვლენას უფრო ღრმა მიზეზი დაედო საფუძვლად, სხვა ფესვი ასაზრდოებს... ჩემი გულისნადები ხმამაღლა ვერ მითქვამს, რადგან პირველი სიტყვა ამ საქმის პირველ კაცებს ეკუთვნის.

მეც დაველოდები ამ სიტყვას.

მანამდე კი ერთი გურჯაანელი მწყემსი უნდა გავაცნო მკითხველს.

## რასაც სახელი ვერ დავარქვი...

დღემდე შემომრჩა ძველი ჩვეულება. თუ კაცმა ერთხელ გული მომიძებნა, მერე მეძნელება მისი დაკარგვა. შეიძლება ეს კაცი არასდროს არ დასჭირდეს მწერლის კალამს, მისი მოლანდება მაინც ინახება ჩემი სამახსოვრო რვეულის ფურცლებზე.

ამჟამად არც ვაპირებდი აქაურ ცხვარ-მეცხვარესთან დამედო ბინა, მაგრამ ჩემდა მოულოდნელად ერთი ისეთი მწყემსი შემეძრა, — სული ამიფორიაქა. ახლა ძალიან ვწუხვარ, რომ მხოლოდ ერთხელ ვესაუბრე მეცხვარე შარიფა ბეჟუაშვილს, იგი მეორე დღესვე მთაში გაბრუნდა.

**შარიფა:**

„ზაფხულის დილა იყო. ცხვარი მინდორზე გავშალე, რომ უეცრად თვალი მოვატანე, — პატარა ხევის პირას, ღვარის ნადგომში, ნაბდიანი კაცი წამოწოლილიყო.

შევძახე.

ნაბდიანმა ხმა არ გამცა.

ახლო მივედი. ჩვენი მეზობელი კოლმეურნეობის მწყემსი ბიჭი გამოდგა, გვარად პაპუნაშვილი. ნარიყალ კუნძზე თავი მიედო და არხეინად ეძინა.

გავაღვიძე და ვუთხარი, ამ ნაღვარევ ადგილას ძილი არ შეიძლება, ხევის წყალმა თუ მოგისწრო, ალაზანში ჩაგიტანს მეთქი...

ბიჭმა თვალები მოიფშვნიტა, ჯერ ცას ახედა, მერე უხმოდ წამოიწია და ისე მომაჩერდა, ნამდვილად გიჟი ვეგონე...

ცაზე მართლაც ღრუბლის ნასახიც არა სჩანდა. კავკასიონის მხარეც ისე იყო მოწმენდილი, თითქოს ქვეყნის გაჩენის დღიდან ღრუბელი არ უნახავსო...

— შენ ცას რას უყურებ, შვილო! შენ ცხვარს შეხედე, როგორ იბღერტება! ნიშანს გაძლევს, ამინდი იცვლება, ჩქარა შინ წაგასხიო...

...არ გასულა დიდი ხანი, მთაში წვიმამ დაუშვა.

მეორე დილას ყური მოვკარი, პაპუნაშვილის ბიჭი დაკარგულა და ეძებენო.

მაშინვე ცხენი შევკაზმე და წაბლიანის ხევთან გავჩნდი. გუშინდელ ღვარცოფს ბევრი ლამი და ქვა-ღორღი გამოეტანა მინდორზე. ხევში წყალი უკვე დავარდნილიყო. გავყევი პირ-ნაპირ, ნაღვარევ დარანებს.

ჯერ ყვავი მეგონა...

მერე კი აშკარად დავინახე, შლამიდან ნაბდის ყური მოსჩანდა.

ცუდად გავხდი!

ის საცოდავი ბიჭი გუშინ როგორც დავტოვე ნაბადში გახვეული, ასევე გაუტოკებლად ჩაემარხა ლამ-გორში ხევის წყალს.

...დღემდე შემოჰყვა შარიფა ბეჟუაშვილს ამ უდროოდ დაღუპული ბიჭის დარდი. სწორედ ამ დარდმა შეაბერა იგი უბრალო მწყემსის გუდა-ნაბადს. უბრალო მწყემსის ადგილი არ გაუცვალა არავითარ სხვა სიკეთეზე, თუმცა ბევრჯერ დაუპირეს „ტახტის" გამოცვლა. ერთხელ დიდი ფერმის გამგეობაც კი დააკისრეს; საქმეს კარგად გაუძლვა, ისეთი ადგომი ცხვარი ჰყავდა, ვერავითარი ჯაგი და კალი მატყლს ვერ დააკარგვინებდა. და მაინც იქით გაუწია გულმა, სადაც იგი უფრო საჭირო იყო. შარიფა ბეჟუაშვილმა ისევ კომბალი გაიდო მხარზე, რომ გზაში თუ მთაში ახალგაზრდა მწყემსების გვერდი-გვერდ ყოფილიყო.

აჩვევდა, ასწავლიდა ცხვარ-მეცხვარის მძიმე ცხოვრების ასავალ-დასავალს, როგორ უნდა აართვა ალღო ცხვარს, ცხენს, ძაღლს, მგზავრს, როცა ისინი უეცრად ნირს შეიშლიან, — იმგვარად არ მოიქცევიან, როგორც მუდამ იქცეოდნენ.

...უღელტეხილზე გადადიოდნენ. წინ მიმავალი ცხენი უეცრად დადგა, ვერავითარმა შეძახებამ და მათრახმა ადგილიდან ფეხი ვერ მოაცვლევინა. ცხენის გამყოლმა მწყემსმა შარიფასთან მიირბინა და უთხრა, დღემდე არ იცოდა ასეთი ოჩნობა, ახლა რა ღმერთი გაუწყრაო...

— დაიცა, ბიჭო, მეტი არ დაჰკრა! — უთხრა შარიფამ და მწყემსებს გასძახა, ცხვარი დააყენეთო. გულმა მაინც არ მოუთმინა, თვითონაც იმ ცხენთან მივიდა და სადავე დაუჭირა.

არ გასულა ათიოდე წუთი, გზაზე გადმომხობილ კლდიდან ვეება მეწყერი ჩამოწვა. პირუტყვის გასაოცარი სახმილი თუ არა, მთელი ის ფარა უფსკრულში ჩაეფინებოდა.

...ბინდი უკვე დაეცა მინდორს. დაჰკივლეს მწყემსებმა, ძაღლებიც სამივე მხრიდან შემოეწყვნენ ფარას, — ცხვარი სადგომში მაინც არ შედის, გამალებული ძოვს, თითქოს დილიდანვე ბალახის სუნიც არ დაუკრავსო.

— რატომ არ შედის? — მოძღვრავდა გულთმისანი ბერიკაცი ახალბედა მეცხვარეს: — ცხვარი გრძნობს, ხვალ ცუდი ამინდი იქნება, ამიტომ ახლა ყუათიანად ვახშმობს, გვიანობამდე ეტანება ბალახს! ხვალ ვინ იცის, როდის გაუღებენ ფარეხის კარს.

ვინ გამოიგონა ასი თვალი და ასი ყური?

მხოლოდ მეცხვარემ.

ცხვარზე უფრო უმწეო და მფრთხალი ცხოველი მეორე არ მოიპოვება მიწისპირზე. მთაზე გადაგებულმა მწყემსმა კარგად უნდა იცოდეს, სად დააყენოს ცხვარი დღისეულ თუ ღამეულ, თორემ ფათერაკს დაძახება არ სჭირდება. მგელი და ღვარცოფი რად გინდა! შეიძლება უცბად წამოფრენილმა ჩხიკვმაც კი მთელი ფარა ისე დაგიფრთხოს და აგირიოს, ცარიელი კომბალიღა შეგრჩეს ხელში!

ყველაზე მეტად კი შარიფა ბეჟუაშვილის რაღაც არამიწიერმა მეხსიერებამ დამიკარგა გულისხმა.

ღამეა. სადღაც ბაკში ერთი-ორჯერ წამოიბღავლებს ცხვარი და გაჩუმდება. შარიფამ უკვე იცის, რომელი ცხვარი ეძახის. აანთებს ფარანს. იმ ცხვარს ხელდახელ იპოვნის და საწუხარს გაუგებს. იგი ხმაზე იცნობს სათითაოდ ყველა ცხვარ-ბატკანს, მისი ბრიგადის ფარაში რომ ბრუნავს.

ნამდვილად არ ვიცოდი, თუ ქვეყანაზე ასეთი რამ ხდებოდა.

შარიფას მამა-ბიძანიც მეცხვარეები იყვნენ. წელიწადში ერთი-ორხელ ჩამოაკითხავდნენ ოჯახს და იმავ საღამოს ბეჟუაშვილების ბუხრის პირას ხან მგელი გაირბენდა, ხან კიდევ შავი კლდიდან ტყის კაცი ისკუპებდა და პატარა ბიძას ცხენზე შემოუჯდებოდა.

ტორებზე შემდგარი დათვის ღრიალი, თოფის ცემა და ცხენების თქარათქური, მერე უეცრად ამოვა მთვარე და თვალშეუდგამ ქარაფიდან ბროლის ჩანჩქერი გადმოეკიდება. ქარაფის ძირში კი, გაშლილ ნაბდებზე, მწყემსები სხედან და ჩონგურს აღუღუნებენ, ლექსებს ამბობენ.

სულგანაბული უსმენდა პატარა შარიფა მწყემსების ტყუილ-მართალში არეულ თავგადასავალს.

მძიმე შრომა და წვალება არაერთხელ დააწყევლინებს ოსტატს თავის ხელობას, მომგონი მოგიკვდაო! ძალიანაც რომ გიყვარდეს, ერთი გმობა მაინც წაგცდება.

მთიდან მობრუნებული ბიძები კი ისე ლამაზად და გულწამტანად ხატავდნენ მწყემსების ხიფათიან ცხოვრებას, თითქოს შირაქიდან ყადორის მთამდე ერთი ცხენის გაჭენება სამოყვრო გზა იყო. საოცარი სული ედგა აქაურ მეცხვარეს. უგზოობას, უამინდობას, ქარყინვაში დაცემულ ცხვარ-ბატკანს და ფეხზე გათენებულ ღამეებს კი არ მისტიროდა იგი, — ისევ და ისევ მწვანედ მობიბინე მდელოზე აძოვებდა ფარას და სალამურს აკვნესებდა. შორიდან ასე ელანდებოდა პატარა შარიფას ის ზღაპრული ქვეყანა და უკვე ოჯახში გული აღარ უდგებოდა. „მთაში წამიყვანეო", ეხვეწებოდა მამას.

არ წაიყვანეს, „შენ გიყურო თუ ცხვარს მივხედო! გზას ვერ გაუძლებო!" — უთხრა მამამ და ივრის სერებს გადაღმა ფეხი არ გაადგმევინა.

მაშინ ადგა შარიფა და ის გააკეთა, რასაც მისი ტოლი მეოცნებე ბიჭები აკეთებდნენ ყოველ დროს და ყოველ ქვეყანაში: სახლიდან გაიპარა. მთაში მიმავალ თუშების ფარას გაჰყვა. შარიფა მაშინ ცამეტი წლისა იყო.

ჯერ დაიწუნეს პატარა ბიჭი. უთხრეს, კარგი ქვა კედელს არ მოძვრება, შენ რომ ცხვარ-ბატკნის გასაგისი იცოდე, მამაშენი მოჯამაგირედ არ გაგიშვებდაო....

გამომცადეთო, უთხრა შარიფამ.

გამოსცადეს და... სახტად დარჩნენ: ცხვარი ისე გაპარსა, ერთი განაკაწრი ვერსად უპოვნეს. წველა გინდა, პურის გამოცხობა, საქალამნე ტყავის გამოხდა, — რაღა არ იცოდა ბეჟუაშვილის ბიჭმა... აუსრულდა ოცნება. მოჰკიდეს ზურგზე პატარა გუდა და თუშეთის გზას გაუყენეს.

სამოცი წელიწადი გავიდა მას აქეთ, და როგორც შარიფა ამბობს, „ჯერ ერთი დღითაც კი ცხვარიდან არ გამოვსულვარ, მხოლოდ ომის წლები უნდა გამოვაკლოო!



*რამდენ ნაბადი გასცვითა,*
*ვერ ეკარება ხანიო,*
*ცხვარი ჰყავს, იმის უკეთესს*
*სად ნახავს კაცის თვალიო...*

უმღერის ერთი მწყემსი მელექსე შარიფა ბეჟუაშვილს.

ლექსი იმიტომ არის ლექსი, რომ ცოტა გადაამეტოს, ცოტა რამ შეალამაზოს, მაგრამ ყველა საწყაო და სასწორი მხოლოდ ერთს ლაპარაკობს: შარიფას შრომას შელამაზება არ სჭირდება, — რომელ ახალგაზრდა მეცხვარეს არ შეშურდება მისი ხელის სისწრაფე, როცა იგი ცხვარს სწველის თუ პარსავს. ან როცა ვებოს მთებში, ზღვის დონიდან სამი ათასი მეტრის სიმაღლეზე, ისეთი წიწმატი, ბოლოკი, ხახვი და სალათა მოჰყავს, გეგუთელი მემწვანილეებიც კი წუნს ვერ უპოვნიან. მისი ბოსტანი პატარა შეღავათს როდი აძლევს მთაში გამოკეტილი მწყემსების ერთფეროვან სუფრას.

ადამიანის სულის სიმდიდრე ზოგჯერ იმითაც გამოიცნობა, თუ რა შეინახა მისმა ხსოვნამ, რა ამოარჩია ნანახ-გაგონილიდან...

შარიფას გულის მადლმა დამაწერინა ეს სტრიქონები, — ერთი ქართველი დედის ამბავი.

სამი თვის ფეხმძიმე იყო ფხოველი ნინო ბალაშვილი, როდესაც მისი ქმარი ბათუმიდან გაქცეულ მენშევიკებს დაემგზავრა და უცხოეთში გადაიხვეწა. რა ჰქონდა გასაქცევი?! ერთი ზამთარი იმსახურა სოფლის მილიციაში და **თებერვალმაც** მოუსწრო. ხალხი არ ემდუროდა, არ იყო ღვთის გარეგანი ბიჭი, მაგრამ ფეხის ხმას აჰყვა და მამულ-დედული მიატოვა.

მარტოდ დარჩენილმა ქალმა გამოკეტა თავისი ქოხი და ქვრივ დედას მიაშურა, „სანამ მოვილოგინებ და რამე გზას ვეწევი, ხმის გამცემი მაინც მეყოლებაო"... მაგრამ ვაი ასეთი ხმის გაცემას! დედამ საშველი აღარ მისცა ისედაც გულდათუთქულ ქალს:

— მუცელი მოიშალე, გოგო, თორემ მთლად უკაცოდ და უპატრონოდ დავრჩებით! შვილიან ქალს რა ბედი უნდა გამოგიჩნდეს, თამარ-მეფის მზითები ვერ გაგათხოვებს!

— რას ამბობ, დედა! დაბრუნდება ჩემი მერაბი და თვალებში ვერ უნდა შევხედო!

— ისე დაბრუნდა ჩვენი მტერი და მაწყევარი! ოჯახის მოყვარე კაცი ალესილ ნაჯახს თავს დაუდებს და სახლიდან არ გაიქცევა! თუმცა ვინ ერჩოდა მაგ უბედურს... ზალიკო დაიჭირეს? არა. ბეგაშვილის ბიჭი დაიჭირეს? დაიჭირეს კი არა, დაუძახეს და წითელ მილიციაში ჩაწერეს! მეტი რაღა გინდა! რომელი „ნაჩალნიკი" შენი ქმარი იყო, რომ დაჰკრა ფეხი და სათათრეთში გადავარდა!

— შემიცოდე, დედა! ქმარი დავკარგე... ესეც რომ დავკარგო, მერე რაღაის იმედით შევრჩე ამ ქვეყანას! — უთხრა ნინომ.

— გათხოვდები, გოგო, შვილსაც მოესწრები და შვილიშვილსაც. ოცი წლის ქალმა ცრემლით რატომ უნდა დაივსო თვალები!

— არა, დედაჩემო, მერაბმა ისეთი სიტყვა დამიტოვა, მისგან ღალატი არ იქნება!

— დიდი საუნჯე დაუტოვებია! — ტაში შემოჰკრა დედამ: — კარგად შეინახე, არსად დაგეკარგოს მისი ცარიელი სიტყვა!

— საუნჯეც დამიტოვა... დიდი საუნჯე! — ხმის კანკალით სთქვა ნინომ და მუცელზე ხელი დაიდო: — მთელი ქვეყნის თვალ-მარგალიტს მირჩევნია...

მწარე სიტყვა ენის წვერზე ეკიდა დედას, მაგრამ მუცელზე დადებულმა ხელმა ხმა ჩაუწყვიტა.

დედას მამიდაც წამოეშველა, დღე ერთი იყო და კილვა-საყვედური ათასი. ნინო მაინც ვერ გატეხეს, მხოლოდ სახლიდან კი გააქციეს.

ქალი ისევ თავის გამოკეტილ ოჯახს დაუბრუნდა. ახლა უკვე აღარ აშინებდა მარტოობა, თითქოს ქმრისეული სახლის კარი რომ შეაღო, წინ რაღაც ახალი ძალა და იმედი შეეგება.

მხოლოდ ჟამიდან ჟამზე ისე საშინლად მოუნდებოდა ტირილი, რომ ძალა აღარ იყო, — დაემხობოდა ტახტზე და ცრემლად დადნებოდა.

— გაჩუმდი, გოგო! — გაუწყრა ერთხელ მეზობლის დედაკაცი: — არ გინდა ჯანმრთელი ბავშვი გეყოლოს?! თავი მიანებე გლოვა-გოდებას, არც ძილი მოიკლო, არც საჭმელი... რაც მოგცეს ღმერთმა, ცარიელი პური იქნება თუ ერბო-კვერცხი, ყველაფერი მადიანად შეჭამე და შეირგე! იმასაც შეერგება, შვილო!

ამ სიტყვებმა გული გადაუქანა ნინოს. გამხნევდა, გაყოჩაღდა. დედამისმა ისიც კი იფიქრა, რამე ხმა თუ მოაწვდინა იმ დაკარგულმა კაცმა, თორემ ასე უმიზეზოდ რა ფრთები გამოებაო...

სექტემბრის დამლევს ნინოს ვაჟი შეეძინა. მერაბი დაარქვა, მამის სახელი.

წელი წელს მისდევდა.

დედობის სიხარულმა კიდევ უფრო გაამშვენიერა ახალგაზრდა ქალი. ჩუმი დარდისაგან შეკრულ ტუჩ-პირზე ისეთი ზეციერი ნათელი და სიმშვიდე მოეფინა, მეზობლებპირჯვარს იწერდნენ, ქალს შვილოსნობა ასე მოხდენოდეს, პირველად ვხედავთო.

მაჭანკლებმა ეზო აუტალახეს ნინოს. ბევრი გამოუჩნდა მსურველ-მთხოვნელი. ერთი ისეთი კარგი ოჯახიშვილი ეძლეოდა, — ნინოს დედა და მამიდა ჭკუიდან კინაღამ შეიშალნენ, იმისთანა კაცს უარი როგორ უთხრაო...

— დაბრუნდება ჩემი მერაბი. ასი ცოდვა რომ ჰქონდეს ჩადენილი, ასივეს აპატიებენ, ისეთი შვილი უნდა გავუზარდო! — ამბობდა იგი და კაცებისაკენ აღარ იყურებოდა. პირველ სიყვარულს ვერ გადაუდგა.

ამ ლოდინში დაალამა და გაათენა ოცი წელიწადი ნინო ბალაშვილმა. არც ჯვარისწერის ფიცი გასტეხა, არც შვილს მოუყვანა მამინაცვალი. მთელი თავისი ყმაწვილქალობა პატარა მერაბს შესწირა და შვილმაც ამაგი წყალში არ ჩაუყარა. სწავლობდა, მუშაობდა, ჯერ კიდევ თერთმეტისა არ იყო, გუთნეულს მეხრედ დაუდგა, სოფელში ახლაც ახსოვთ: ფეხშიშველი, პერანგა ბიჭი საგლეჯი ხარების უღელზე იჯდა, ძირგავარდნილი ჭილოფის ქუდი თავზე ჩამოეფხატა და კინკრიხოზე ერთი ბღუჯა შავი თმა ისე მოუჩანდა, ნამკალში თხუნელა მიწას რომ ამოშლის.

დაამთავრა რვა კლასი და კოლექტივის ხარ-გუთანს მოეკიდა. მერე კი, როდესაც გურჯაანმა შემოთვალა, ერთი კარგი ბიჭი შეარჩიეთ და აგროკურსებზე გამოგზავნეთო, სოფელს დიდი რჩევა და მკითხაობა არ დაუწყია: კოლექტივის გამგეობამ ერთხმად დაასახელა ნინო ბალაშვილის ვაჟი. არ დასცალდა მერაბს გურჯაანში გამგზავრება. დაიწყო ომი. ივნისის დამლევს დედას და ნათესავებს დაემშვიდობა და შორეულ გზას გაუდგა.

სამკუთხად დაკეცილო წერილო, რა გულის კანკალით მოგელოდა შენ კვლავ მარტოდმარტო დარჩენილი დედა... როგორ აცოცხლებდა ნინოს გულს მუხლისთავზე თუ სანგრის პირზე ნაჩქარევად ხელგაკრული სტრიქონები!

მერე კი რა მოხდა! მთელი წელიწადი გავიდა — არც წერილი, არც შავი ქაღალდი. არც რაიმე ხმა და არცა ნახმევი! უკვალოდ და უამბოდ დაიკარგა ჯარისკაცი მერაბ ბალაშვილი.

ნინოს კი მაინც სჯეროდა, რომ მისი ბიჭი ცოცხალი იყო. „ქვეყანას ღერძი ისე როგორ გაუბრუნდება, რომ ერთად ერთი შვილი მომიკლანო!" — სხვა ფიქრი მისმა გულმა არ გაიკარა. ლოდინის სატანჯველს თავი არ მისცა. ხელები არ ჩამოყარა, და როცა სოფელს უკაცობა ძალიან დაეტყო, ადგა და შვილის დანატოვარ ხარ-გუთანს მოეკიდა. უჭირდა სოფელს. მარაგნაწილების უქონლობის გამო ტრაქტორები იდგნენ. იმდენი ხარკამეჩი კი ვისა ჰყავდა, კახეთის მინდვრებს მორეოდა. ბევრგან გუთნეულებში ძროხებიც კი შეაბეს. ნინოს ერთი მოხუცი გუთნისდედა დაეხმარა. წინა უღელში ჭკვიანი, გამოცდილი ხარები დაუყენა, რომ საქცევზე მობრუნების დროს გუთნეული არ არეულ-დარეულიყო. მერე უხნავი მინდვრის პირიდან თავადაც მხარში ამოუდგა და მთელი ორი დღე „ზედას" და „მოიშის" მუღამს ასწავლიდა.

ერთ საღამოს ქალმა უღლიდან საქონელი რომ გამოუშვა და საძოვრად გარეკა, ჩალისფერმა ძროხამ, სახელად გოგონამ, ბალახს პირი არ დააკარა. თავჩაქინდრული იდგა მინდორზე და მხოლოდ ხანდახან, უღლისაგან გახეხილ ქედს თუ შეარხევდა, რომ ბუზანკალი მოეგერებინა. ნინო მივიდა, კისერზე ხელი მოხვია, მოეფერა და შუბლზე აკოცა.

— დაიღალე, გოგონა? ძროხა და გუთანი ვინ გაიგონა, მაგრამ ხომ ხედავ, მეც შენს დღეში ვარ! ხანდახან ისე ვიღლები, ლუკმა ყელში ვერ გადამაქვს! მაინც ვძალობ, აბა რა ვქნათ, უჭირს ქვეყანას! უნდა გავუძლოთ როგორმე!...

წელი წელს მისდევდა. ომი ისე დამთავრდა, — არც წერილი, არც შავი ქაღალდი. არც რაიმე ხმა და არცა ნახმევი.

დაბრუნდნენ ნაომარი ჯარისკაცები კახეთის სოფლებში. არ გასულა დიდი ხანი, მელაანში ხმა გავარდა, მწყემსი შარიფა ბეჟუაშვილი და ნინოს ბიჭი მერაბი ჩრდილო ოსეთში ერთად ყოფილანო.

პატარა სოფელ დიგორას ერთი მხრიდან რკინიგზა ჩაუდის, მეორედან — მდინარე თერგი. იერიში დაიწყო თუ არა, მერაბ ბალაშვილის ათეული პირველი ამოვარდა სანგრიდან. დანარჩენებიც მაშინვე მიჰყვნენ და ნამკალში გაიშალნენ. ისეთი სროლა იყო, ტყვია ტყვიას გვერდს ვერ უქცევდა, უეცრად შარიფამ თვალი მოატანა, რკინიგზის ჯიხურთან მერაბი რაღაც მოწყვეტილად დაეცა მიწაზე. ჩაწოლას არა ჰგავდა. სანამ შარიფა მასთან მიხოხდებოდა, სანიტარი ქალიც იქვე გაჩნდა. დაავლეს ხელი და მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცი ჯიხურში შეიტანეს.

— აბა შენ იცი ჩემო დაო! თუ ამ ბიჭს გადამირჩენ, ჩემზე ერთგული ძმა არ გეყოლება! — უთხრა შარიფამ და ჯიხურის კარი გამოიხურა.

იმ ღამეს დიგორა ისევ მტერმა დაიკავა. მოასწრეს თუ არა ჩვენებმა თერგის ბორანზე დაჭრილების გადაყვანა, — ეს უკვე შარიფამ აღარ იცოდა. ნინოსაც ასე უთხრა, ის დღე იყო და ის... მერე მისი ვერაფერი შევიტყვე, მალე მეც დამჭრეს და ერთმანეთს ძირიანად დავეკარგეთო.

— ნუ შემიცოდებ, ბიჭო, ყველაფერი მითხარი!

— და-ძმობას გეფიცები, სასიკვდილო არაფერი სჭირდა! — მიუგო შარიფამ.

ნინოს მეტი არაფერი უკითხავს. უხმოდ ადგა და წავიდა.

ილეოდნენ დღეები. ნინოს თვალზე წვეთი ცრემლი არავის დაუნახავს. არ დაუზედა დაკარგულ შვილს ზარი და მოთქმა. მხოლოდ მამიდამ იცოდა, რა დღეში იყო საბრალო ქალი. ერთხელ ტანი დაბანა და გულს შემოეყარა, მისი დამდნარ-დალეული ნასხმანი რომ დაინახა. „რა აჩერებს სულს ამ ცარიელ ძვლებში!"

...იმ საღამოს მამიდამ ამბავი მოიტანა, — შაბათ-კვირას შარიფა ბეჟუაშვილი ჩრდილო ოსეთში მიდის, წითელი ძროხები უნდა ჩამოიყვანოსო...

ნინომ გათენებას აღარ მოუცადა, მხრებზე თავშალი მოიგდო და ფერმას მიაშურა. შარიფას უნდა მიუსწროს. მერე ველარ იპოვნის. მწყემსები უთენებლივ ტყეში მიდიან, წკნელსა სჭრიან ფარეხ-გომურებისათვის.

მივიდა და პირდაპირ გამოუცხადა, უნდა წამიყვანოო...

შარიფამ წარბები შეჰყარა:

— სად წაგიყვანო, ნინო?!

— სადაც მიდიხარ, შარიფა! ის ადგილი უნდა მაჩვენო, სადაც შენ და მერაბი ერთმანეთს დაშორდით!

დაზაფრულმა მწყემსმა ენა ველარ მოაბრუნა უარის სათქმელად. რამდენი წელიწადი გავიდა იმ დღიდან — მისი მდუღარე ხმა ახლაც ყურში უდგას შარიფას.

შაბათიც მოვიდა. დატრიალდნენ ნათესავმეზობლები, ნინოს თბილად ჩააცვეს, საგზალი გამოუწყვეს, მანქანის ძარაში თივა ჩაუფინეს ზედ ფარდაგი გადააფარეს და გზა დაულოცეს.

შუადღე უკვე გადასული იყო, როდესაც მელაანის მანქანა სოფელ დიგორას ორღობეში შეხრიგინდა. შარიფას ეშინოდა, ვაითუ იქაურობა ველარ ვიცნო, ისე შეცვლილი დამხვდესო. საბედნიეროდ, ორღობე ჩაათავეს თუ არა, ალვის ხეებში შორიდანვე გამოკრთა რკინიგზის თეთრი ჯიხური. ნინო უკვე იცნობდა ამ ადგილებს. ძალამ უმტყუნა თუ რა იყო, გზაში თავი ვერ შეიკავა, ძირ-ბუდიანად გამოჰკითხა შარიფას იმ დღის ამბავი.

სანამ თერგიდან ბინდი არ წამოვიდა, ქალი ხმაგაკმენდილი დაფარფატებდა ნაომარ მინდორზე. აგერ ეკლიანი მავთულის ღობურა და ძველი სანგრები. დაფლეთილი მიწა ჯერ კიდევ არ მოესწორებინა სოფელს. ბუჩქი და ბალახი მოსდებოდა აქაურობას. ჭრიალებდა ცალყურზე დაკიდებული ჯიხურის კარი.

შარიფა მანქანის საფეხურზე ჩამომჯდარიყო და თავი ჩაეკიდა. გული ეწურებოდა, „იტიროს, იყვიროს მაინც, თორემ გავთავდი კაცი!"

ნინო კი ისევ ბრუნავს და ბრუნავს ამ ცოდვის კალოზე. მხოლოდ ხანდახან შედგება და ყურებზე ხელებს აიფარებს. მერე კვლავ ჯიხურს შემოუვლის, ტყვიებით დაცხრილულ კედელს მიაჩერდება. ხან კიდევ თავზე წაადგება ჩაქცეულ სანგარს... მხოლოდ ერთხელ იყო, შარიფას მიუბრუნდა და ჩუმად ჰკითხა:

— ხომ არაფერს მიმალავ, ბიჭო?

— არაფერს, ნინო, არაფერს...

ეტყობა, ცოტა დაიღალა, ჯიხურის კედელს მიეყუდა...

მზე ჩავიდა.

მდორედ მოეფინა არემარეს დაისის ნაშუქარში აჭრილი ბინდი... უეცრად ნინო კედელს მოსწყდა, ორივე ხელი წინ გაიშვირა და ხმამაღლა შეჰკივლა:

— მერაბ... შვილო!

შარიფა ფეხზე წამოიჭრა.

— „გავიხედე... რა დავინახე! ქუდი მაღლა ამივარდა! ბნელში არეულ ნათელიდან მერაბი გამოვიდა, ნამდვილი, ცოცხალი მერაბი, როგორიც იმ დილას იყო, ბრძოლის დაწყების წინ...

— შვილო! — ისევ დაიძახა ნინომ და... ვითომ რქა-საკიდელიდან თავშალი ჩამოცურდაო, ისე ჩუმად დავარდა მიწაზე.

მხოლოდ ამის თქმა მოასწრო:

— ხმა არ გამცა, არ არის ცოცხალი!..

. . . . . . . . . . . . . . . . .

მე არ მიკვირს, რომ დიდმა მწუხარებამ დედას წამიერად შვილი გაუცოცხლა და თვალწინ დაუყენა... არა მოჩვენება, არა მოლანდება, — რაღაც უფრო მართალი და ხორციელი.

მე მხოლოდ შარიფა მაოცებს. რა წმინდა გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ღმერთის დასანახავი დაინახო.

**ბოლოთქმა.**

სოფელ ჩუმლაყის შეფენებიდან მდინარე ალაზნის პირამდე ლურჯად ჩაგუბებული ზვარი მოსჩანს. ამ თვალუწვდენელ მამულს კოშკის ვენახებს ეძახიან.

ერთი საკვირველება აქაც მელოდა.

სწორედ ამ ვენახების შუაგულში, ვაზის შარებში, ჩაუდგამს ქორწინების სახლი ჩუმლაყის კოლმეურნეობას.

სხვაგან არსად. მხოლოდ ვენახის შუაგულში, თუმცა საამისო არე-ადგილი ჩუმლაყში ბევრგან მოიძებნებოდა. ვალიკო უტიაშვილმა გაანდო სოფელს თავისი ძველი ნაოცნებარი და სოფელმაც მხარი აუბა გონიერ თავკაცს: მევენახეების ბედნიერების სახლს ვენახში ჩაუყარეს საძირკველი.

ლამაზად მორთული სეფა-დარბაზი, ოთხი სასტუმრო ოთახი და ორი გაშლილი აივანი მუდამ მოელის სიძე-დედოფალს და მაყრიონ-მექორწინეებს. ახალგაზრდა მევენახე ქალი და ვაჟი ამ სახლში ჯერ ერთმანეთს ეფიცებიან სამუდამო სიყვარულსა და ერთგულებას, მერე ვენახში მუხლს მოიყრიან და სოფელს აღთქმას აძლევენ, რომ არასდროს მხარში არ გამოეცლებიან ვაზს, არასდროს ამ მიწას კაცის ხელს არ მონატრებენ.

ასე დამკვიდრდა გურჯაანის რაიონში კიდევ ერთი ლამაზი და ბრძენ-კაცური წეს-ჩვეულება.

დიდი სიცოცხლე უწერია ამ სიახლეს. მე მჯერა, იგი უფრო შეჰკრავს და შეაკავშირებს ვაზის რქასა და კახელი კაცის მარჯვენას, როგორც წმინდა ნინოს თმა-ნაწნავმა შეჰკრა ჯვარი ვაზისა...

გურჯაანი-ქუთაისი.

1981 წელი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი", № 269, 270, 271, 276, 278, 279.

# შრომის დაცვა 50 წლისაა

**გაიმართა** სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, რომელიც თბილისის საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა,

მოხსენება „შრომის დაცვა 50 წლისაა" გააკეთა ინსტიტუტის დირექტორმა ი. ცინცაძემ.

რუსთაველ მეტალურგთა შრომის პირობების გაჯანსაღებაში ინსტიტუტისა და მისი მეცნიერული ნაშრომების როლის შესახებ ილაპარაკა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილემ დ. მაჭავარიანმა, რესპუბლიკის სამთო საწარმოებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებს დაუთმო ყურადღება საქართველოს სსრ სამთო ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ თ. კვერნაძემ. განიხილეს აგრეთვე ტექნოლოგიური პროცესებისა და მოწყობილობათა უსაფრთხოების, სამთო დამმუშავებელ მრეწველობაში საჰაერო გარემოს გაჯანსაღებისა და წარმოებაში შრომის დაცვის პროპაგანდის პრობლემები.

კონფერენციაზე გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის განყოფილების გამგე ა. სემიონოვი, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ინსტიტუტის მუშაობას.

თბილისის შრომის დაცვის ინსტიტუტი ერთ-ერთი უძველესია ქვეყანაში. იგი შეიქმნა საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის შრომის ჰიგიენის ლაბორატორიის ბაზაზე, ხოლო 1931 წლიდან ეწოდა ამიერკავკასიის შრომის გაჯანსაღების, უსაფრთხოებისა და ორგანიზაციის სახელმწიფო ინსტიტუტი.

დიდი სამამულო ომის წლებში ინსტიტუტი ასრულებდა შუქშენიღბვის, აფეთქების ტალღის მოქმედებისაგან დაცვის, ბომბსაფარების მოწყობისა და ვენტილაციის სამუშაოებს.

წარმატებით დამთავრდა ომის შემდგომი ხუთწლედის მეცნიერული კვლევაც, რომელმაც ფართო აღიარება პოვა სსრ კავშირში და მის საზღვრებს გარეთ.

მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, ინსტიტუტში შემუშავებულია 32 კონსტრუქციული მოწყობილობა, მიღებულია 33 საავტორო მოწმობა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ხუთი დიპლომი და 41 მედალი.

მეათე ხუთწლედში გაწეული მუშაობის შედეგად შრომის პირობები გაუუმჯობესდა 3,8 მილიონ მშრომელს, ხოლო ამ პერიოდში შესრულებული მეცნიერული გამოკვლევებისაგან მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა დაახლოებით 7 მილიონი მანეთი შეადგინა.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით შრომის დაცვის ინსტიტუტი დაჯილდოვდა საპატიო სიგელით. პროფკავშირებში აქტიური მუშაობისათვის ასეთი ჯილდოებით, აგრეთვე სამკერდე ნიშნებით დაჯილდოვდა ინსტიტუტის ბევრი თანამშრომელი.

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ხაზარაძემ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ამ სამეცნიერო დაწესებულების დაჯილდოების შესახებ და იგი ინსტიტუტის ხელმძღვანელებს გადასცა. თანამშრომლების ჯგუფს გადაეცა საქართველოს პროფსაბჭოს საპატიო სიგელები.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მიიღეს წერილები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოსადმი. (საქინფორმი).

ჩვენი კალენდარი



# მეცნიერი და მოქალაქე

*პროფესორ ვ. ტრაპაიძეს 70 წელი შეუსრულდა*

**საინტერესოა** მეცნიერისა და პედაგოგის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, სოციალისტური შრომის გმირის ვ. ტრაპაიძის ცხოვრების გზა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობს საფინანსო ორგანოებში, ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, სხვადასხვა დროს მუშაობს მახარაძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის მეორე და ხულოს რაიკომის პირველ მდივნად. 1952 წლიდან ვ. ტრაპაიძე 20 წლის მანძილზე რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილეა.

ვ. ტრაპაიძე წლების განმავლობაში პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა, ფინანსურ დისციპლინებსა და პარტიის ეკონომიკურ პოლიტიკას უკითხავდა ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებს, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის სკკპ ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის გამგე საზოგადოებრივ საწყისებზე. 1966–72 წლებში ვ. ტრაპაიძე შეთავსებით მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

პროფესორ ტრაპაიძის კვლევის ძირითადი საგანია საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლები, მისი არსი და მიმართულებანი, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ფინანსების თეორიის პრობლემები. ამის ნათელი გამოხატულებაა მის მიერ შესრულებული სამეცნიერო შრომები: ფინანსებისა და კრედიტის როლი საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში, საქართველოს სსრ მრეწველობის მოგება და რენტაბელობა, ბრუნვის გადასახადის მოქმედი სისტემა და მისი გარდაქმნა მრეწველობის მართვის ახალი სტრუქტურის შესაბამისად, საფინანსო და საკრედიტო მუშაობის გაუმჯობესების ამოცანები, ეკონომიკური რეფორმის არსი და მისი მნიშვნელობა, ვ. ი. ლენინი სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობაში ფინანსებისა და კრედიტის როლის შესახებ, მოგება და რენტაბელობა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის პირობებში, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე, საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების სრულყოფისათვის, მატერიალური რესურსები და წარმოების ეფექტიანობა და სხვა, რომლებიც გამოირჩევა მოვლენათა ღრმა ანალიზით და კვლევით, მათში კარგად ჩანს ავტორის მეცნიერული ალღო, მისი მდიდარი პრაქტიკული და თეორიული გამოცდილება.

ვ. ტრაპაიძე წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც განაგებდა ფინანსების, საქონელბრუნვისა და ფულის მიმოქცევის განყოფილებას. აქ მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა რიგი შრომებისა, რომლებშიც აისახა საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების როლი და ამოცანები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში.

იგი ჩვეული ენერგიითა და პასუხისმგებლობით მუშაობდა დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო-სასწავლო გაერთიანებაში, საიდანაც კვლავ ფინანსთა სამინისტროში, მინისტრის მოადგილის პასუხსაგებ პოსტზე დაინიშნა.

თავის ძირითად სამუშაოსთან ერთად ვ. ტრაპაიძე მუშაობს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვისა და ფინანსების კათედრის პროფესორად, არის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალური სამეცნიერო საბჭოს წევრი, საზოგადოება „ცოდნის" რესპუბლიკური გამგეობის წევრი და ამავე საზოგადოების ეკონომიკური ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო მეთოდსაბჭოს თავმჯდომარე, არჩეულია საქართველოს პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ.

პროფესორი ვ. ტრაპაიძე სკკპ ეკონომიკური პოლიტიკის დაუცხრომელი პროპაგანდისტია და თითქმის ყოველწლიურად დიდი სიყვარულით და მაღალკვალიფიციურად უძღვება პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სემინარებს — კითხულობს ლექციებს, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რესპუბლიკის დაჩქარებული ინდუსტრიული განვითარების საჭიროებას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი კურსის შესაბამისად და რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების სხვა აქტუალურ საკითხებს. განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია დაგეგმვის გაუმჯობესებისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა პროპაგანდისათვის.

უპრეტენზიო, სპეტაკი, კეთილშობილური თვისებებით გამორჩეული ვლადიმერ ტრაპაიძე მუდამ მზად არის უანგარო დახმარების ხელი გაუწოდოს, გულთბილი სიტყვა შეაშველოს ყველას, ვინც ამას საჭიროებს. მისი ღვაწლი და ამაგი მთავრობის მაღალი ჯილდოებით — ორი ლენინის, ორი საპატიო ნიშნის, წითელი ვარსკვლავის, შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მრავალი მედლით აღინიშნა.

ღვაწლმოსილ მეცნიერს, პროფესორ ვ. ტრაპაიძეს ვულოცავთ დაბადების 70 წლისთავს, ვუსურვებთ მხნეობას და შემოქმედებით წინსვლას ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

**ა. გოკიელი,**
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
**ვ. ლებანიძე,**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

*შემთხვევა*

# წყვდიადში, თოვლთან ბრძოლაში

**ამას წინათ** ქალაქ ტყიბულში და მის ზონაში ძლიერი თოვა დაიწყო. სადგურ საწირის მახლობლად დაზიანდა რკინიგზის საკონტაქტო ხაზი, შეწყდა მატარებელთა მოძრაობა. რკინიგზის საკონტაქტო ქსელის საავარიო ბრიგადა ამ დროს სადგურ არგვეთაში მუშაობდა, აქ, საწირში კი დაზიანებული ხაზების აღმდგენი არავინ იყო. ამ ამბავს სასწრაფოდ გამოეხმაურა ამიერკავკასიის რკინიგზის ხრესილის წევის ქვესადგურის უფროსი ბიჭიკო ცუცქირიძე, რომელმაც მოძებნა გზის ოსტატი ჯონდო კუბლაშვილი და ბრიგადირი ვახტანგ ქარქაშაძე. ისინი საჩქაროდ მივიდნენ შემთხვევის ადგილზე. ბ. ცუცქირიძემ, ენერგოდისპეტჩერ ესაკიასთან კავშირის დამყარების შემდეგ, ტექნიკური და ორგანიზაციული წესების დაცვით ღამის წყვდიადში თავგანწირულად იმოქმედა. მას დიდი დახმარება გაუწიეს ელმავლის მემანქანეებმა ტრისტან ხვადაგიანმა და ჯონდო სადილიანმა. 3 საათის შეუპოვარი მუშაობის შემდეგ დაზიანებული ხაზი აღადგინეს. აღმდგენი ბრიგადის ადგილზე მოსვლამდე 7 მატარებელი, მათ შორის 4 სახალხო, ელმავლის პანტოგრაფის დაწევით გაატარეს. რკინიგზელთა შეუპოვრობით მატარებელთა ნორმალური მოძრაობა ღამის პირველ საათზე აღდგა.

**ვ. კუტალაძე.**

## საგზაო შემთხვევების სტატისტიკა

### ნოემბრის მესამე დეკადა

**ტრანსპორტისა** და ქვეითთა მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერება-ერთთვიური ნოემბრის ბოლოს უნდა დამთავრებულიყო. რადგან რესპუბლიკის გზებზე ოპერატიული მდგომარეობა მაინც [illegible]

| | რესპუბლიკაში | თბილისში |
|---|---|---|
| სულ დარღვევები | 16288 | 5966 |
| მათ შორის ტრანსპორტის მართვა ნასვამ მდგომარეობაში | 564 | 311 |
| სიჩქარის გადაჭარბება | 4126 | 1128 |
| გზაჯვარედინის გავლის წესის დარღვევა | 3825 | 1158 |
| ქვეითთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევა | 1421 | 903 |
| საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა | 101 | 22 |
| რის გამოც დაიღუპა | 26 | 4 |
| დაშავდა | 119 | 27 |

# ლექსთა ქება

**თერჯოლა.** (საკ. კორ.). შრომაში გამარჯვებულმა რაიონის მშრომელებმა გულთბილი შეხვედრა გაუმართეს საბჭოთა საქართველოს თანატოლ პოეტებს დავით კვიცარიძეს და ივანე თარბას.

რაიონის სიახლეთა გაცნობის შემდეგ მოწყობილ ლიტერატურულ საღამოზე, მოწვეულთა შემოქმედებაზე ილაპარაკეს გაზეთ „წინსვლის" რედაქტორმა გ. ხიჯაკაძემ, სამხატვრო გალერეის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ღ. ციბაძემ. სიქთარის საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. ერგემლიძემ, პენსიონერმა პედაგოგმა რ. სიმონგულოვმა.

შემდეგ ტრიბუნა დაეთმოთ მწერალ გ. ფანჯიკიძეს, პოეტებს ჯ. ჩარკვიანს, ფ. ხალვაშს, ნ. თარბას, ზ. ბოლქვაძეს, გ. კალანდიას, კრიტიკოსებს გ. გვერდწითელს, ს. არველაძეს, ა. კლდიაშვილს.

საღამო დამთავრდა ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიციით „დ. კვიცარიძე და ი. თარბა — საბჭოთა საქართველოს თანატოლნი".

სტუმრებმა გულწრფელი მადლობა გადაუხადეს რაიონის ხელმძღვანელობასა და მშრომელებს ამ სამახსოვრო საღამოსათვის.

# ხელახალი ბიძგი

**ბაქო,** 4 დეკემბერი. (საკდესის კორ.). მესამე დღეა ბორგავს დიდი კავკასიონის წიაღი. უმნიშვნელო მიწისძვრის შემდეგ დღეს დილით აღირიცხა 6-ბალიანი მიწისძვრა. კერა იგივეა. ეპიცენტრი მდებარეობდა რაიონული ცენტრის ისმაილისაგან 20 კილომეტრზე. ისმაილის რაიონში დაინგრა რამდენიმე შენობა. მსხვერპლი არ არის.

## რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან

**უკვე** ტრადიციად იქცა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის ყოველსეზონური შეხვედრა თბილისელ მაყურებელთან. თეატრი ამ თავისებური შემოქმედებითი ანგარიშით ორ მიზანს ისახავს — გააცნოს დედაქალაქის მაყურებელსა და თეატრალურ საზოგადოებრიობას ახალი ნამუშევრები და ამასთან ერთად, „უცხო" თვალით განჭვრიტოს დღევანდელობიდან გამომდინარე მხატვრული მერმისი.

თეატრის ხელმძღვანელს გოგი ქავთარაძეს ვერ წარმოუდგენია შემოქმედებითი ცხოვრება წინსვლის, ხშირი კონტაქტებისა, აზრთა გაზიარების გარეშე. ხელოვნის ხასიათის ამ სიკეთემ ქნა, რომ თეატრი მოემზადა და წარმატებით გამოვიდა მოსკოვში.

დედაქალაქში ქუთაისელები სამი სპექტაკლით ჩამოვიდნენ: „რამდენიმე ეპიზოდი კომუნისტის ცხოვრებიდან" (ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადის" მიხედვით), ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი", ფ. დიურენმატის „ფიზიკოსები".

„რამდენიმე ეპიზოდი..." და „ღალატი" თავისი თეატრალური ესთეტიკით რადიკალურად განსხვავებული სპექტაკლებია, თუმცა ორივეს დადგმა გოგი ქავთარაძეს ეკუთვნის. ამაში მხოლოდ ლიტერატურულ-დრამატურგიული მასალის თავისებურებამ კი არ შეასრულა გადამწყვეტი როლი, არამედ შემოქმედი რეჟისორის მრავალმხრივმა ინტერესებმაც.

გ. ქავთარაძის მიერ გააზრებული „ღალატი" რაგინდ ორიგინალურად უნდა მოგვეჩვენოს, ის მაინც ბევრად არ განსხვავდება ამ პიესის დადგმის ტრადიციისაგან, მაშინ როდესაც „რამდენიმე ეპიზოდი..." გვხიბლავს თავისთავადობითა და მოულოდნელობის ეფექტით.

ნიკოლოზ ოსტროვსკის სახელგანთქმულ წიგნს „როგორ იწრთობოდა ფოლადი" მკითხველთა, მაყურებელთა, მსმენელთა მრავალი თაობა აღუზრდია. ეს ნაწარმოები, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობის უტყუარ, ზნეობრივ კოდექსად იქცა, მრავალგზის გაცოცხლდა ხელოვნების სხვადასხვა დარგში და, საბედნიეროდ, თითოეული ეს ცდა თავისებურად საინტერესო და მიმზიდველი იყო. მით უფრო საძნელოა ხელახალი ცდა ამ რომანის ხელოვნების ენაზე ამეტყველებისა.

რეჟისორმა და ამავე დროს ინსცენირების ავტორმა (გ. კვარაცხელიასთან ერთად) პირველად გმირი ავანსცენაზე მაშინ გამოიყვანა, როცა მის წინაშე ჭეშმარიტად ჰამლეტისეული კითხვა დაიბადა.

ამ დრამატურგიულმა ხერხმა თავიდანვე დაგვაახლოვა კორჩაგინთან. მის მიერ განვლილი სწორუპოვარი ცხოვრების შეფასება-დაეჭვების ჟამს ყოფნა-არყოფნის საკითხის წამოჭრამ სპექტაკლს ფილოსოფიური შინაარსი შესძინა.

რომანის ქრონოლოგია ინსცენირებაში ისე აიკინძა, რომ გამოიკვეთა უმთავრესი ეპიზოდები, რომლებსაც უნდა ეპასუხათ მტკივნეულ კითხვაზე. მოქმედ პირთა შორის ის გმირები გვხვდებიან, რომლებიც ყველაზე კარგად იცნობდნენ პავკა კორჩაგინს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მისი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი ეპიზოდი ინსცენირების მიღმა დარჩა, კერძოდ, ცალკეულ გმირთა ცხოვრების ამსახველი სურათები მხოლოდ ნაწილობრივ შემოვიდა თხრობაში და იმ აუცილებლობით, რითაც პავკა კორჩაგინის წარსულს ყველაზე სრულად წარმოაჩენდა.

სპექტაკლში შესული ეპიზოდების დრამატურგიულ სტიმულად გვევლინებიან ხან დედა, ხან ჟუხრაი, ხან სერიოჟა ბრუზჟაკი, ძმა არტემი, ტონია ტუმანოვა, რიტა უსტინოვიჩი და სხვები, დაჟინებით რომ ახსენებენ კორჩაგინს, მისი ცხოვრების საეტაპო მოვლენებს, იმ დღეებს და იმ წუთებს, როცა მან სულიერი სიმტკიცე და ხასიათის შეუვალობა გამოიჩინა.

ასე თანდათანობით კორჩაგინი (და მასთან ერთად მაყურებელიც) მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამაოდ არ ჩაუვლია მის თავდადებულ ცხოვრებას. სპექტაკლის ფინალში, დავრდომილი გმირი, ამჯერად უკვე გამოჩენილი მწერალი, ახალგაზრდებით გარშემორტყმული მოაბიჯებს მაყურებელთა დარბაზისაკენ, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს სასოებით უჭირავთ წიგნი „როგორ იწრთობოდა ფოლადი", როგორც სიმბოლო გაუტეხელი გმირობისა.

სპექტაკლი ერთ სუნთქვაზეა აგებული. იგი ერთდროულად ნათქლიც არის და მკაცრიც. გმირების რეგლამენტირებული არსებობა სცენურ დროში არ იძლევა საშუალებას ფსიქოლოგიური ჩაღრმავებებისათვის, ამიტომ რიტმი იქმნება ეპიზოდების სწორ და დროულ მონაცვლეობაში, რაც მოითხოვს მსახიობისაგან განწყობილების სისრულეს და ინტონაციურ სიზუსტეს.

ეპოქის სურათი რომანში მრავალი სიუჟეტური შენაკადით არის გაცოცხლებული, სპექტაკლში კი რეჟისორი ამ თვალსაზრისით გვთავაზობს ცალკეულ ეპიზოდებს დრამატურგიული განვითარებით, რომელთაც აგვირგვინებს მის მიერ ყოველი სცენის დასასრულს საინტერესოდ მოფიქრებული, ხერხით: — ეპიზოდების მონაწილეთა ჯგუფური პორტრეტით. ამ გაჩერებული კადრების სახით გვექმნება შთაბეჭდილება გარდასულ დღეთა მღელვარე ამბებზე.

ეს სახიერი სანახაობა ერთსა და იმავე დროს კოლორიტულიც არის და დაპირისპირებულ ძალთა მეტაფორულ სურათსაც ქმნის.

აქ მხატვრობა კოსტიუმებშიც თავისებური ფერით შემოდის, მას ისტორიული სიმართლეც ახლავს და კომპოზიციური გამართლებაც. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მ. მშველიძის სცენოგრაფია მთლიანობაში პირობითია. ჭარბობს ლითონი, უხეში მასალა, თალხი ფერი აქა-იქ მიმოფანტული წითელი ლაქებით. არსებითი მახვილი ვიწრო ლიანდაგზეა გადატანილი, რომელსაც სცენის სიღრმეში ოსტატურად ჩასმული სარკე აბოლოვებს; ეს სარკე მკვეთრად გამოყოფს მოქმედების ადგილს და თან აზრობრივ დატვირთვასაც უძლებს, როგორც

# ქუთაისელთა მცირე გასტროლები

კორჩაგინელთა დაუსრულებელი ცხოვრების გზის მაჩვენებელი.

სპექტაკლის სუნთქვა, დრამატიზმი, ამავე დროს ღრმა, ადამიანური ურთიერთობანი, აყვანილი ჰეროიკული თეატრის ჟღერადობამდე, მიგვანიშნებს, რომ გოგი ქავთარაძე მიელტვის ამაღლებულ, გმირულ ხელოვნებას.

„რამდენიმე ეპიზოდში..." მას ამ მხრივ მხარს უსწორებენ უპირველეს ყოვლისა თავისი გულწრფელი და მართალი ინტონაციით ვაჟა ოყრეშიძე პავკა კორჩაგინის როლში და თეატრის მთელი დასი მრავალრიცხოვანი ეპიზოდების მკვეთრი და სახიერი წარმოჩენით. ყოველივე იმ ღირსების გამო, რაც აღინიშნა, სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი გ. ქავთარაძე წარდგენილია საქართველოს სახელმწიფო პრემიაზე.

ერთ დროს სარეპერტუარო პიესა „ღალატი" დღეს იშვიათი სტუმარია თეატრალურ აფიშაზე. ამ მხრივ რეჟისორის არჩევანი მრავალმხრივ ნიშანდობლივია. დამდგმელს უნდა გადაეწყვიტა რთული პრობლემა — ერთი მხრივ, მაყურებლისათვის დაეახლოებინა პიესის იდეურ-თემატური შინაარსი და ამავე დროს საინტერესო მხატვრული გადაწყვეტაც მოეძებნა. შეიძლება ითქვას, რომ ორივე მომენტის გათვალისწინებით „ღალატმა" ახალი სცენური სიცოცხლე შეიძინა.

რეჟისორმა ნაწარმოები გაიაზრა როგორც სახალხო ტრაგედია; ხალხი მთავარი მოქმედი გმირია და იბრძვის თავდადებით, როგორც ფიზიკური გადარჩენისათვის, ასევე ეროვნული ღირსების შენარჩუნებისათვის.

ხალხს განასახიერებს საგანგებოდ მოწვეული ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელიც მთელი მგზნებარებით გვიჩვენებს სიმღერით და ცეკვით ასახულ ერის ტკივილს, მის ძალასა და ენერგიას. ინტონაცია უმეტესად სევდიანია, თავშეკავებული, დაგუდული, მკაცრი და ფიქრიანი, რაც შეუპოვარი ბრძოლის ხასიათით არის განპირობებული. ერთი შეხედვით, სპექტაკლში ანსამბლის შეყვანა, რომელსაც დაეკისრა მასობრივი სცენები, მისი მუსიკალური და პლასტიკური ფონი, შეიძლება ალვიქვათ დრამატურგიულ მასალაზე ძალდატანებად, მაგრამ საერთო გააზრებისათვის დრამის მსახიობებისა და პროფესიული ანსამბლის თანაარსებობა ერთობ ორგანული და შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

მთლიანობაში ასეთმა მხატვრულმა შერწყმამ მნიშვნელოვანი იდეური შინაარსი შეიძინა, თვალნათლივი და ხელშესახები გახადა ის, რომ ერი, რომელსაც ასეთი სიმღერა, პლასტიკური სიცხადე, მოვლენათა შეფასებისას ესოდენი განცდა გააჩნია, დაუმარცხებელია!

ა. სუმბათაშვილ-იუჟინის პიესა ქუთაისელთა სცენაზე ადაპტირებულია, მოქმედების განვითარება დაკავშირებულია მხოლოდ ძირითად კონფლიქტთან, რომლის ერთ პოლუსზეა სოლეიმანი და მისი სამყარო, მეორეზე კი — ზეინაბ-ოთარბეგის აღორძინებული კავშირი. რეჟისორულმა „ოპერაციამ" გაამარტივა სიუჟეტი და უფრო გაამძაფრა მოქმედ პირთა დაპირისპირების ხასიათი. ეს პირობა აისახა სცენოგრაფიაშიც (მხატვარი — ჯ. ფაჩუაშვილი), სადაც დამპყრობლის მძიმე კარვის ქვეშ მიწა ზანზარებს, ხოლო ხალხის ხმის, მისი გულისთქმის გამომხატველი ზარები უსაშველოდ დუმან.

ფინალურ სცენაში ხალხის გამარჯვებასთან ერთად კარავი დაემხობა, ხოლო ზეაწეული ზარები სადღესასწაულოდ ახმიანდებიან.

გოგი ქავთარაძე აქაც რომანტიკული თეატრის მიმდევრად გვევლინება. სპექტაკლში ძირითადი დატვირთვა ემოციურ აფეთქებებზეა დაფუძნებული. ეპიზოდებს აქაც აქცენტირებული ფინალები აქვს, სადაც ჭარბობს ფრონტალური მიზანსცენები, რაც დღევანდელ მაყურებელთან სერიოზული დიალოგის საშუალებას იძლევა.

თუ ქუთაისელთა „ღალატს" მივუდგებით ტრაგიკული ჟანრის მაღალი საზომით, მაშინ სპექტაკლში ყველაზე შთამბეჭდავია პირველი მოქმედების ფინალი — სცენა, რომელშიც ზეინაბის მცდელობით ოთარბეგი სამშობლოს დამცველთა რიგებში ბრუნდება, აქ ევა ხუტუნაშვილი და ანზორ ხერხაძე ზეაღმავალი ემოციით გვაჯადოებენ.

მსახიობთა ანსამბლში სიმართლით გამოირჩევიან გ. კაკაურიძე (ანანია), მ. სამანიშვილი (რუქაია), ი. ჩხეიძე (ისახარი) და სხვ.

ქუთაისელთა „ღალატს", ისევე როგორც რომანტიკული პლანის არაერთ სპექტაკლს, თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც აქვს. ეყრდნობა რა მსახიობთა ემოციურობასა და ტემპერამენტს, ყოველთვის ერთი საშიშროების წინაშე დგას; საკმარისია არ დაიბადოს გრძნობისეული მუხტი, რომ სპექტაკლი საფუძველშივე ირღვევა და ერთობ მოსაწყენ სანახაობად იქცევა. მაგრამ, როდესაც სცენაზე ჭეშმარიტი შემოქმედებითი ცეცხლი აინთება და გრძნობას ეძლევა გასაქანი, სპექტაკლის შემოქმედებაც მეტ ესთეტიკურ ძალას იძენს.

მესამე საგასტროლო სპექტაკლის — ფ. დიურენმატის „ფიზიკოსების" დადგმა ცნობილ გერმანელ რეჟისორს ჰერმან ვედეკინდს ეკუთვნის. მას არაერთი სპექტაკლი დაუდგამს საქართველოში და ყველა მათგანს ახლდა მოკრძალებული დამოკიდებულება ავტორისადმი, დადგმის სცენური კულტურა და მსახიობის ხელოვნებისადმი გამორჩეული ინტერესი.

„ფიზიკოსები" ფრიდრიხ დიურენმატის კომედიებს შორის ყველაზე პესიმისტური ნაწარმოებია, მისთვის ჩვეულ პარადოქსულ სიტუაციებში აქ უფრო გამუქებულია სინამდვილე, რათა მაყურებლის მეტი პოზიტიური გამოძახილი გამოიწვიოს. დრამატურგს თანამედროვე კაპიტალისტურ სამყაროში შექმნილი მდგომარეობა კრიზისულად მიაჩნია და რეალურ გამოსავალს ვერ ხედავს. იგი შიშობს, რომ მანიაკების ხელში მეცნიერების პროგრესი მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაციის დაღუპვის მიზეზი არ გახდეს.

ჰერმან ვედეკინდი სპექტაკლის ექსპოზიციაში გვთავაზობს ფ. დიურენმატის თეატრალურ მოსაზრებებს, რათა უფრო ნათელი გახადოს ავტორის პოზიცია, ხოლო შემდეგ გათამაშების ნაცად ხერხს მიმართავს, რითაც თავიდანვე ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ რაც სცენაზე გათამაშდება, თუ ჯერ კიდევ არარეალურია, სინამდვილეშიც შეიძლება მოხდეს!

ქუთაისელი მსახიობები ლაღად გაჰყვნენ რეჟისორს დიურენმატის რთულ სამყაროში და ბევრსაც მიაღწიეს, მაგრამ ის უკიდურესობები, რომლებიც გმირების მდგომარეობას ახლავს პიესაში, სამწუხაროდ, არ გამოიკვეთა, თუ მათ შეძლეს გმირების გარეგნულად დამაჯერებელი სახეების შექმნა ცრუ-ფსიქიკური აშლილობის დროს (ვ. ოყრეშიძე, ა. ხერხაძე, ა. სახამბერიძე), რაც შეეხება წმინდა ინტელექტუალური პაექრობის სცენებს, ისინი ნაკლებად ეფექტიანი და შთამბეჭდავი აღმოჩნდნენ. სწორედაც მეორე მომენტში უფრო მართებდათ ტექსტში ჩაღრმავება და მოქალაქეობრივი პოზიციების გამოკვეთა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ძლიერად წარმოადგინა თავისი გმირის ექიმ-ფსიქიატრისა და სამხედრო კონცერნის მფლობელის მატილდა ფონ ცანდის ხასიათი ევა ხუტუნაშვილმა, რომელსაც საამისოდ ძალაც ეყო და ტემპერამენტიც.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჯ. ფაჩუაშვილის კონსტრუქციული სცენოგრაფია; მხატვარს საინტერესოდ მოუფიქრებია საავადმყოფოს ორსართულიანი ინტერიერი თავისი ფერადოვანი გადაწყვეტით და გემოვნებით შეურჩევია შესაბამისი რეკვიზიტიც.

ქუთაისის თეატრის კოლექტივის ეს პირველი შეხვედრა ჰერმან ვედეკინდთან სასიკეთოდ უნდა მივიჩნიოთ.

დედაქალაქში ჩამოტანილმა ამ სამმა სპექტაკლმა კარგად წარმოაჩინა ქუთაისის თეატრის დღევანდელი შემოქმედებითი ცხოვრება.

**ვ. ბრეგაძე.**





**სურათებზე:** სპექტაკლების „ღალატისა" და „ფიზიკოსების" სცენები.

ჯ. ლომაძის ფოტო.



# სპექტაკლის იუბილე

**დღეს,** 5 დეკემბერს მარჯანიშვილის თეატრი მეასედ წარუდგენს მაყურებელს მედეა კუჭუხიძის მიერ დადგმულ ლაშა თაბუკაშვილის პიესას „ძველ ვალსს", რომლის პრემიერაც 1978 წლის 27 მაისს გაიმართა.

თეატრთა სიმრავლით და რეპერტუარის სიმდიდრით განებივრებული მაყურებლისათვის ერთი და იგივე სპექტაკლი ზოგჯერ მოსაწყენიც კი ხდება. საზოგადოება ყოველთვის მოითხოვს ახალს, თანადროულს, მაგრამ ჭეშმარიტი ხელოვნება დროის რომელიმე მონაკვეთით არ შემოიფარგლება, იგი ეხმაურება თანამედროვეობას, აღძრავს უკმარობის გრძნობას და ისევ ხილვის სურვილს, როგორც მამაპაპეული სახლი, რომელთანაც მრავალი მოგონება და სითბო გვაკავშირებს.

სპექტაკლ „ძველი ვალსის" მთავარი მოქმედი პერსონაჟები ნინო (დედა) — მ. ჯაფარიძე, ოთარი (მამა) — თ. არჩვაძე, ვაჟა (შვილი) — მ. გორგილაძე, ასახიერებენ თანამედროვე ქართულ ოჯახს, ცოტა დაძაბულს, ცოტა ნერვულს, ხასიათებით განსხვავებულ დედას, მამას თუ შვილს, სადაც მაინც ოჯახის გულია თბილი და ფაქიზი ქართველი დედა, ქართველი მეუღლე.

— მე სიამოვნებით ვთამაშობ ამ პიესაში იმიტომ, რომ იგი ეხება დედაშვილურ დამოკიდებულებას, რასაც მეტად სერიოზულ საკითხად მივიჩნევ, — ამბობს მ. ჯაფარიძე.

მსახიობი უმრავლეს შემთხვევაში სცენაზე ივიწყებს ხოლმე სპექტაკლის მიღმა არსებულ მეს და ასახიერებს როლს. მედეა ჯაფარიძისათვის ნინოობა არ მოითხოვს გარდასახვას. ამ როლში მსახიობი იცვლის მხოლოდ სახელს, ხოლო მისი ფიქრები სამშობლოზე, სიწმინდეზე, მომავალ თაობაზე, ოჯახზე ყოველდღიური ცხოვრებიდან გადააქვს სცენაზე.

ოთარისა და ვაჟას პერსონაჟებიც რეალურია, ცხოვრებისეული, მათში მანკიერებაც იგრძნობა და დიდბუნებოვნებაც, ეს უკანასკნელი კი მთელი ძალით მჟღავნდება მაშინ, როდესაც ნინოს განუკურნებელი სენი შეეყრება. მამა-შვილში ბავშვური სიწმინდით იფეთქებს მეუღლისა და დედისადმი უდიდესი მოწიწება და სიყვარული.

„ დედა გაზაფხულზე გარდაიცვალა", — ამბობს ვაჟა, მაგრამ ნინო, როგორც იდეალი, არ კვდება, მის მრწამსს მისდევენ მისთვის ძვირფასი შვილი და მეუღლე, რომელთაც მიზნად დაუსახავთ იცხოვრონ ნინოსებურად. თითქოს თავისებური, განსხვავებული ნინო მამა-შვილში იქცევა შორეულ მნათობად, რომელიც მუდამ აღძრავს წვდომის სურვილს და სიწმინდეს გვაფრქვევს.

„ძველ ვალსზე" საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მსახიობებს, რომლებმაც ნათლად წარმოაჩინეს სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა თუ შეხედულებების მქონე ადამიანთა საინტერესო სახეები. ესენია გოგი — ა. იოსელიანი, ნონა — მ. ტატიშვილი, თინა — მ. ქადაგიძე, კოტე — თ. პაპიძე, გივი — ვ. თანდილაშვილი, ნოდარი — გ. გელოვანი, ელისო — ნ. ჩიქვინიძე, მიხეილი — ვ. ოსაძე, თამარი — თ. თეთრაძე, ქალბატონი ელენე — თ. ლასხიშვილი, დემნა — თ. წულაია, მთვრალი კაცი — დავით ქუთათელაძე. გაგახსენებთ იმასაც, რომ მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ი. ბობოხიძეს, ქორეოგრაფია — ი. ზარეცკის.

ლაშა თაბუკაშვილის ამ პიესამ თავიდანვე მოიპოვა აღიარება როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც. „ძველი ვალსი" დაიდგა ბუდაპეშტში, ტაშკენტში, ტულაში და ოცდაათამდე სხვადასხვა თეატრის სცენებზე.

„ძველი ვალსი" ყველაზე უკეთ დრომ შეაფასა.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრისა და მისი მაყურებლისათვის უთუოდ სამახსოვროა მეასე სპექტაკლის დღე.

**ელ. ჯიქია.**

**სურათზე:** „ძველი ვალსის" სცენა: თ. არჩვაძე — ოთარი, მ. ჯაფარიძე — ნინო.

ნ. კუჭუხიძის ფოტო.

## ყაბახი

### წაგება მეთორმეტე სვლაზე

**ფრუნზეში** გრძელდება უმაღლესი ლიგის მოჭადრაკე ვაჟთა 49-ე საკავშირო ჩემპიონატი. გთავაზობთ მორიგი შეხვედრების შედეგებს: **სამი ტურის შემდეგ გადადებული პარტიები.** დაზავდნენ დოლმატოვ-ტიმოშჩენკო, გულკო-მიხალჩიშინი, კუპრეიჩიკ-დოლმატოვი, აგზამოვ-ბელიავსკი, კუზმინ-ცეშკოვსკის პარტია კვლავ გადაიდო; **მეოთხე ტური.** მიხალჩიშინი დამარცხდა კასპაროვთან. დაზავდნენ ტიმოშჩენკო-ტუკმაკოვი, დოლმატოვ-გულკო, კუზმინ-კუპრეიჩიკი. დანარჩენი პარტიები გადაიდო; **მეხუთე ტური.** გულკომ მოუგო კუზმინს, დაზავდნენ იუდასინ-ცეშკოვსკი, დორფმან-მიხალჩიშინი, რომანიშინ-იუსუპოვი, სვეშნიკოვ-ფსახისი, ტუკმაკოვ-გავრიკოვი. დანარჩენი პარტიები გადაიდო. **მეექვსე ტური.** მიხალჩიშინი მე-12 სვლაზე... დამარცხდა რომანიშინთან. სვეშნიკოვმა მოუგო იუსუპოვს, კუპრეიჩიკმა — გულკოს. ყაიმზე შეთანხმდნენ ბელიავსკი-დორფმანი, აგრეთვე ტიმოშჩენკო და გავრიკოვი. დანარჩენი პარტიები გადაიდო და მათი დამთავრების წინ ერთპიროვნულად ლიდერობდა რომანიშინი — 3,5 და 1 გადადებული პარტია. 3-3 ქულა ჰქონდათ სხვადასხვა რაოდენობის გადადებული პარტიებით ფსახისს, კასპაროვს, კუპრეიჩიკს და ტიმოშჩენკოს.

### თბილისიც უმასპინძლებს

**დაძმობილებული** ქალაქების მსოფლიო ფედერაციამ, რომელიც 6.000 წევრს აერთიანებს, გადაწყვიტა დაძმობილებულთა სპორტული ასპარეზობების გამართვა. ეს გადაწყვეტილება მიიღეს ამ ფედერაციის კონგრესზე. ასპარეზობათა დებულებაში ორი მნიშვნელოვანი პირობაა: შეჯიბრებები ცალკეულ სახეობებში გაიმართება სხვადასხვა ქალაქში; ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მიეცემათ მხოლოდ მოყვარულ სპორტსმენებს და ამასთან იმათ, ვინც ქვეყნის ნაკრებში არ შედიოდა.

უკვე რამდენიმე ქალაქმა განაცხადა სურვილი ასპარეზობათა გამართვის თაობაზე. მათ შორის არიან ბეზანსონი, კრეტეი და როანი (საფრანგეთი), პეზარო (იტალია), დაკარი (სენეგალი) და საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი თბილისი.

### გამოვლინდნენ ფინალისტები

**კიევში** დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალური ტურნირი წყალბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის გუნდი, ალმა-ათის, კიევისა და თბილისის დინამოელთა კოლექტივები. ამ ოთხეულიდან ფინალის საგზურები მოიპოვეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის გუნდმა და ალმა-ათის „დინამომ".

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

**ტელევიზია**

**5 დეკემბერი**

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.50 — „დილის ვარჯიში" (მ.), 10.10 — „მოამბე", 10.40 — შევისწავლოთ ქართული ენა, 11.10 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მისი აღმატებულების ადიუტანტი". მეოთხე სერია, 12.25 — „პოეზიის ხუთი წუთი", 12.30 — „ხალხური შემოქმედება" — მახარაძის რაიონის სოფელ მაკვანეთის თვითმოქმედება, 13.05 — კინონარკვევი, 13.15 — „კინოაფიშა", 13.45 — „პოეზიის ხუთი წუთი", 13.50 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა, 14.25 — „ეკრანულ სახეთა გახსენება" — ნ. გუნდარევა, 15.10 — „პოეზიის ხუთი წუთი", 15.15 — „ჩვიდმეტი ძირითადი", 15.40 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ზღაპრები", 16.05 — ლიტერატურული გადაცემა „რა ენა წახდეს", 16.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — „პოეზიის ხუთი წუთი", 17.35 — „მუსიკალური ფოსტა", 18.20 — „თქვენთვის, პატარებო!" — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.35 — „პოეზიის ხუთი წუთი" (მ.), 18.40 — მეცხრე სტუდია (მ.), 19.40 — „მოამბე", 20.10 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მისი აღმატებულების ადიუტანტი". მეხუთე სერია, 21.25 — საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე. სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „შემოქმედებითი პორტრეტი" — ჯანსუღ ჩარკვიანი.

**თეატრი**

**5 დეკემბერი**

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი ვალსი (მე-100 წარმოდგენა); თბილისის სახელმწიფო დრამატული — ყრუ ღმერთები; მეტეხის თეატრი — კოლაელ ყრმათა წამება; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მუსუსი (პრემიერა); მინიატიურების სახელმწიფო — ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები; კინომსახიობთა თეატრი — დონ ჟუანი.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა თერჯოლის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე

**თამარ სამოელის ასული ქარქაშაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.